პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

კომუნისტი ორგან центрального и тбилисского комитетов кп (б) грузии и советов депутатов трудящихся грузинской ССР

ოთხშაბათი
15 ნოემბერი
1939 წ.
№ 262 (5662)
ფასი 10 კაპ.

გაიხსნა უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს მესამე, რიგგარეშე სესია

კიევი, 13 ნოემბერი (საკდესი). დღეს უკრაინის დედაქალაქში გაიხსნა უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს მესამე, რიგგარეშე სესია.

5 საათი და 30 წუთია. სესიის დარბაზი უკვე ხალხით არის გაჭედილი. სტუმრებს შორის არიან: საწარმოთა სტახანოველები, პარტიული, საბჭოთა და პროფესიული ორგანიზაციების, საბჭოთა ინტელიგენციის წარმომადგენლები.

6 საათსა და 10 წუთზე პრეზიდიუმის მაგიდასთან გამოჩნდნენ: უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე **მ. ა. ბურმისტენკო** და უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილენი **ა. ე. კორნეიჩუკი** და **პ. გ. რადჩენკო.**

ლოჟებში არიან: ამხანაგები **ნ. ს. ხრუშჩოვი, მ. ს. გრეჩუხა, დ. ს. კოროტჩენკო, ს. კ. ტიმოშენკო, ლ. რ. კორნიეცი** და სხვ.

უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები და მრავალი სტუმარი მქუხარე ტაშით ხვდებიან უკრაინის ბოლშევიკების ხელმძღვანელს ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვს.

— ამხანაგო დეპუტატებო! — ამბობს ამხ. მ. ა. ბურმისტენკო, — სანამ საბჭოთა უკრაინის უმაღლესი საბჭოს სხდომას გავხსნიდე, გთხოვთ ფეხზე ადგომით პატივი სცეთ ჩვენი წითელი მეომრების ხსოვნას, რომელნიც დაიღუპნენ პანების უღლისაგან დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის ხალხთა განთავისუფლების დროს.

ყველანი ფეხზე დგებიან. უკრაინელი ხალხის რჩეულნი პატივს სცემენ იმათ ხსოვნას, ვინც გმირულად დაიღუპა თავისტომი ძმების — უკრაინელებისა და ბელორუსების განთავისუფლებისათვის ბრძოლაში.

ამხ. მ. ა. ბურმისტენკო უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს მესამე, რიგგარეშე სესიას გახსნილად აცხადებს.

სესია იწყებს დღის წესრიგის დამტკიცებას. დღის წესრიგი ერთხმად მიღებულ იქნა. უმაღლეს საბჭოში განსახილველად წარმოდგენილია ერთი საკითხი — დასავლეთ უკრაინის სახალხო კრების სრულუფლებიანი კომისიის განცხადება უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში დასავლეთ უკრაინის მიღების შესახებ.

ამხ. მ. ა. ბურმისტენკო აცხადებს, რომ უმაღლესი საბჭოს სესიაზე ჩამოვიდა დასავლეთ უკრაინის სახალხო კრების სრულუფლებიანი კომისია. დროშებით ხელში შემოდიან დასავლეთ უკრაინის ხალხების მიერ წარმოგზავნილნი, რომელთაც დამსწრენი მქუხარე ოვაციით ეგებებიან. წინ მოდიან გლეხი ქალი გოგოლი და მუშა სადოვოი. მათ მოაქვთ დიდი ლამაზი წიგნი, რომელზედაც გამოსახულია ამხანაგ სტალინის ბარელიეფი. წიგნში მოთავსებულია დასავლეთ უკრაინის სახალხო კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი.

გაისმის მისალმების შეძახილები დასავლეთ უკრაინის ხალხთა პატივსაცემად, ამხანაგ **სტალინის** პატივსაცემად.

ეს შეძახილები გაისმის საბჭოთა უკრაინაში მოსახლე ხალხთა ყველა ენაზე. მათში გამოთქმულია უსაზღვრო სიყვარული ჩვენი ეპოქის დიდი ადამიანის — ამხანაგ **სტალინისადმი.**

სიტყვა ეძლევა დასავლეთ უკრაინის სახალხო კრების სრულუფლებიანი კომისიის წევრს **პ. ი. ფრანკოს.**

— ამხანაგებო, უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებო,— ამბობს პ. ი. ფრანკო. — მე წილად მხვდა დიდი პატივი დასავლეთ უკრაინის სახალხო კრების სახელით მოგახსენოთ მისი გადაწყვეტილებანი. ჩვენ ახლა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სრულუფლებიანი მოქალაქენი ვართ. დასავლეთ უკრაინის ყოველი მშრომელი ახლა განიცდის იმას, რასაც განიცდის ბავშვი, რომელმაც ჰპოვა თავისი საყვარელი დედა და იგრძნო მისი დედობრივი ალერსი, მისი ნაზი მზრუნველობა და სითბო.

ამას ჩვენ უნდა ვუმადლოდეთ გმირულ საბჭოთა ხალხს, ბელადს, მასწავლებელსა და ჩვენს მამას მხურვალედ საყვარელ **იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს.**

დეპუტატები და სტუმრები ფეხზე დგებიან. დარბაზში კვლავ გრიალებს ოვაცია ამხანაგ სტალინის პატივსაცემად.

მომხსენებელი დასავლეთ უკრაინის ხალხთა სახელით თხოულობს, რათა დასავლეთ უკრაინა შევიდეს აყვავებული საბჭოთა უკრაინის შემადგენლობაში და ამით სამუდამოდ გაერთიანდეს უკრაინის **ხალხი.**

უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე მ. ა. ბურმისტენკო იწვევს დასავლეთ უკრაინის სახალხო კრების სრულუფლებიანი კომისიის წევრებს დასავლეთ უკრაინის სახალხო კრების სრულუფლებიანი კომისიის განცხადების განხილვაზე.

ტრიბუნაზეა დასავლეთ უკრაინის სახალხო კრების სრულუფლებიანი კომისიის წევრი **მარიამ კიხი.** იგი ამბობს:

— ძვირფასო ამხანაგებო, ჩვენო ღვიძლო ძმებო და დებო! მგზნებარე სალამს გადმოგცემთ დასავლეთ უკრაინის განთავისუფლებული ძმებისა და დებისაგან.

დეპუტატები ამ სიტყვებს მქუხარე ტაშით ეგებებიან.

მარიამ კიხი ლაპარაკობს მრავალი წლის განმავლობაში პოლონელი პანების უღლქვეშ დასავლეთ უკრაინის ხალხის სიღატაკისა და უუფლებობის შესახებ.

— ჩვენ გვტანჯავდა უმუშევრობა,—აცხადებს კიხი,—ჩვენ გვტანჯავდა სიღატაკე. ჩვენ გვიკრძალავდნენ დედაენაზე ლაპარაკს. ბორკილებს გვიყრიდნენ, საპყრობილეებში, საკონცენტრაციო ბანაკებში გვალპობდნენ. ამას ახლა ბოლო მოეღო. ჩვენ გვინდა ჩვენს მიწა-წყალზე ვაშენოთ ისეთივე მხიარული და ბედნიერი ცხოვრება, როგორიც ამჟამად არის ჩვენ სულითა და გულით უყვარს ძმებო და დებო.

შემდეგ სიტყვა ეძლევა უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, რესპუბლიკის სახალხო არტისტს **გ. პ. იურას.**

ამხ. გ. პ. იურა ლაპარაკობს საბჭოთა უკრაინის ხალხთა ბედნიერი და საამური ცხოვრების შესახებ სტალინური კონსტიტუციის მზის ქვეშ, გმირული შემოქმედებითი შრომის ადამიანების შესახებ. იგი მხურვალედ მიესალმება დასავლეთ უკრაინის სახალხო კრების წარმოგზავნილებს და შესძახებს:

მუდამ ცოცხლობდეს და მტკიცდებოდეს საბჭოთა კავშირის ხალხთა ერთიანი ოჯახი.

ყველა დამსწრეთა ერთსულოვანი მოწონებით დასავლეთ უკრაინის სახალხო კრების სრულუფლებიანი კომისიის წევრი ამხ. **ოლექსიუკი** ტრიბუნიდან აცხადებს:

— წითელი დროშა სამუდამოდ აღიმართა დასავლეთ უკრაინის მიწა-წყალზე!

იგი მოუწოდებს სიფხიზლის ამაღლებისაკენ, საზიზღარი მტრების ბურჟუაზიული ნაციონალისტების მხილებისაკენ, რომლებიც იმალებიან, ინიღბებიან და ცდილობენ ზიანი მოუტანონ ხალხის ინტერესებს.

სხდომაზე გამოვიდნენ აგრეთვე უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები: ამხ. **გნატენკო,** აკადემიკოსი **ბოგომოლეცი,** დასავლეთ უკრაინის სახალხო კრების სრულუფლებიანი კომისიის წევრები, ამხ. **რიძი** და **გოგოლი.**

გაისმის მგზნებარე სიტყვები. ორატორების სიტყვებით იხატება მთელი უკრაინის ხალხის წება-სურვილი და მისწრაფება, განუსაზღვრელი სიყვარული და ერთგულება სამშობლოსადმი, კომუნისტური პარტიისადმი, ამხანაგ **სტალინისადმი.**

14 ნოემბერს სესია განაგრძობს თავის მუშაობას.

ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოს მესამე, რიგგარეშე სესია

1939 წ. 13 ნოემბრის სხდომა

მინსკი, 13 ნოემბერი (საკდესი). სხდომის დარბაზი აივსო ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებით. მათთან ერთად არიან დასავლეთ ბელორუსიის განთავისუფლებულ ხალხთა წარმოგზავნილები.

დღის 12 საათია. ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ნ. გ. გრეკოვა სესიის მეორე სხდომას გახსნილად აცხადებს.

სიტყვა მიეცა დასავლეთ ბელორუსიის სახალხო კრების სრულუფლებიანი კომისიის წევრს ამხ. პრიტიცკის. მქუხარე ტაშის გრიალში მან დასავლეთ ბელორუსიის განთავისუფლებული ხალხის მგზნებარე სალამი გადასცა ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს და მათი სახით მთელ ბელორუს ხალხს.

— ჩვენ მუდამ თქვენთან ვიყავით სულითა და გულით—ამბობს ამხ. პრიტიცკი.—ჩვენ ერთი გრძნობითა და ერთი აზრით ვცხოვრობდით თქვენთან. თქვენი წარმატებანი ჩვენ გვახარებდა და მამაცობას გვმატებდა პანების უღლისაგან განთავისუფლებისათვის ბრძოლაში.

ამხ. მ. ა. ბურმისტენკო უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს მესამე, რიგგარეშე სესიას გახსნილად აცხადებს.

სესია იწყებს დღის წესრიგის დამტკიცებას. დღის წესრიგი ერთხმად მიღებულ იქნა. უმაღლეს საბჭოში განსახილველად წარმოდგენილია ერთი საკითხი — დასავლეთ უკრაინის სახალხო კრების სრულუფლებიანი კომისიის განცხადება უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში დასავლეთ უკრაინის მიღების შესახებ.

ამხ. მ. ა. ბურმისტენკო აცხადებს, რომ უმაღლესი საბჭოს სესიაზე ჩამოვიდა დასავლეთ უკრაინის სახალხო კრების სრულუფლებიანი კომისია. დროშებით ხელში შემოდიან დასავლეთ უკრაინის ხალხების მიერ წარმოგზავნილნი, რომელთაც დამსწრენი მქუხარე ოვაციით ეგებებიან. წინ მოდიან გლეხი ქალი გოგოლი და მუშა სადოვოი. მათ მოაქვთ დიდი ლამაზი წიგნი, რომელზედაც გამოსახულია ამხანაგ სტალინის ბარელიეფი. წიგნში მოთავსებულია დასავლეთ უკრაინის სახალხო კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი.

გაისმის მისალმების შეძახილები დასავლეთ უკრაინის ხალხთა პატივსაცემად, ამხანაგ **სტალინის** პატივსაცემად.

ეს შეძახილები გაისმის საბჭოთა უკრაინაში მოსახლე ხალხთა ყველა ენაზე. მათში გამოთქმულია უსაზღვრო სიყვარული ჩვენი ეპოქის დიდი ადამიანის — ამხანაგ **სტალინისადმი.**

სიტყვა ეძლევა დასავლეთ უკრაინის სახალხო კრების სრულუფლებიანი კომისიის წევრს ამხ. პრიტიცკის. მან თავისი სიტყვა პოლონურ ენაზე წარმოსთქვა. ამხ. კვიატკოვსკიმ დასავლეთ ბელორუსიის მშრომელების — ბელორუსების, უკრაინელების, რუსების, პოლონელებისა და ებრაელების სახელით გულწრფელი მადლობა გამოსთქვა დიადი საბჭოთა კავშირის მიერ მათთვის გაწეულ დახმარებისათვის. დასავლეთ ბელორუსიის ხალხები ერთიან, ერთსულოვან ოჯახად შეუდგნენ შემოქმედებითს, აღმშენებლობითს მუშაობას ახალი ცხოვრების მოსაწყობად.

შემდეგ ტრიბუნაზე ადის დასავლეთ ბელორუსიის სახალხო კრების სრულუფლებიანი კომისიის წევრი ამხ. ცარიუკი.

— პოლონელი პანების მიერ მოყენებულმა ვერავითარმა წამებამ, — ამბობს ამხ. ცარიუკი, — ვერ გასტეხა ჩვენი ხალხის თავისუფლებისმოყვარე სული. ჩვენ ვიცოდით, რომ ჩვენი ძმები — სსრ კავშირის მშრომელები, — არ დაგვტოვებდნენ უბედურებაში. ჩვენ ვიცოდით, რომ არის ქვეყანაზე, კრემლში, დიდი ადამიანი, რომელიც დაუღალავად ზრუნავს ჩვენთვის და არ დაგვტოვებს გაჭირვების ჟამს. და დიდი სტალინი დაგვეხმარა დაგეემსხვრია პანების მონობის ბორკილი, და ჩვენი ხალხი იმ მიწის ბატონ-პატრონი გახდა, რომელსაც საუკუნეთა განმავლობაში რწყავდა თავისი სისხლითა და ოფლით. მაშ, იცოცხლოს და ჯანმრთელად იყოს მრავალ და მრავალ წელს ჩვენი მშობლიური მამა და მეგობარი — დიდი სტალინი! ეს სიტყვები ხანგრძლივ ოვაციას იწვევენ ამხანაგ სტალინის პატივსაცემად.

სიტყვა ეძლევა დეპუტატ ამხ. ა. გ. მიცკევიჩის ქალს. ის ლაპარაკობს საბჭოთა ბელორუსიის მშრომელთა უდიდეს, ენით გამოუთქმელ სიხარულზე, რომელიც გამოიწვია მათი თვისტომი ძმების განთავისუფლებამ.

დასავლეთ ბელორუსიის სახალხო კრების სრულუფლებიანი კომისიის წევრი ამხ. არტემენოკი უბრალო ენით უამბობს იმ დიდ ბედნიერებას, რომელიც წილად ხვდა მას — დასავლეთ ბელორუსიის მშრომელთა შორის ერთერთ პირველთაგანს ენება მშობლიური საბჭოთა კავშირი.

სიტყვა ეძლევა კორპუსის სარდალს ა. ი. ერემენკოს. გულთბილად შეხვდნენ მას დეპუტატები და სტუმრები.

ამხ. ერემენკო ლაპარაკობს სოციალიზმის ქვეყნის უძლეველი არმიის იმ მებრძოლთა გმირობასა და მამაცობაზე, რომელთაც ღირსეულად შეასრულეს თავიანთი თვისტომი ძმების განთავისუფლების ისტორიული მისია.

როდესაც ამხანაგმა ერემენკომ დაამთავრა თავისი სიტყვა, დარბაზში ოვაცია ასტყდა. ყველა დამსწრე ფეხზე ამდგარი უკრავდა ტაშს ! ხანგრძლივად წითელ არმიას: გაისმის შეძახილები: „გაუმარჯოს დიდ სტალინს!“, „გაუმარჯოს ამხანაგ მოლოტოვს!“, „დიდება წითელ არმიას!“, „დიდება ამხანაგ ვოროშილოვს!“.

ტრიბუნაზეა ნოვოგრუდოის ოლქის კოზლოვის თემის გლეხი ქალი ამხ. ტარასიუკი. ის ამბობს:

დასავლეთ ბელორუსიის მშრომელებმა, რომელთაც სულ ახლა ხანს სჩაგრავდნენ პოლონელი პანები, ახლა სოციალისტური სამშობლო ჰპოვეს, უძლეველი საბჭოთა ხალხის დიად ოჯახში შევიდნენ.

— მე ის ქალი ვარ, რომელსაც წინათ არავითარი უფლება არ მქონდა, რომელიც პოლონელმა პანებმა 3 წლით დამაპყრობინეს ციხეში, ახლა კი შემიძლია სიტყვა წარმოვსთქვა აქ, შემიძლია მამაკაცების თანაბრად ვაშენო ახალი ნათელი ცხოვრება. მე პოლონურ სკოლაში ვსწავლობდი. ეს სწავლა კი არა კატორღა იყო. პირველ დღეს მცემეს იმისათვის, რომ გავბედე და მშობლიურ ენაზე ვუპასუხე პოლონელ მასწავლებელ ქალს. უმაღლეს განათლებაზე ოცნებასაც კი ვერა ვბედავდით. ახლა ჩვენ დიადი საბჭოთა კავშირის მოქალაქეები ვართ. ჩვენ ავაშენებთ ჩვენს სასიხარულო ცხოვრებას ყველა მშრომელისათვის ყველაზე უფრო ძვირფასი ადამიანის — ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით. და ჩვენ სულითა და გულით ვუძღვნით მადლობას დიდ სტალინს იმ ბედნიერებისა და სიხარულისათვის, რომელიც მან მოგვცა.

გამოდის პანების უღლისაგან დასავლეთ ბელორუსიის ხალხთა განთავისუფლებისათვის წარმოებული ბრძოლების მონაწილე — ლეიტენანტი ხალაბიანი. ის უამბობს სესიას წითელი არმიის დიდი განმათავისუფლებელი ლაშქრობის შესახებ, იმის შესახებ, თუ როგორი სიხარულით ხვდებოდნენ დასავლეთ ბელორუსიის ქალაქების, დაბებისა და სოფლების მცხოვრებლები განმათავისუფლებელ არმიას.

ბელორუსიის სსრ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ამხ. ჟური მხარს უჭერს ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოს სესიაზე გამოსულ დეპუტატთა წინადადებას ბელორუსიის სსრ რესპუბლიკის შემადგენლობაში დასავლეთ ბელორუსიის მიღების შესახებ. დარბაზში გრიალებს შეძახილები: „ვაშა!“, „გაუმარჯოს გაერთიანებულ ბელორუს ხალხს!“.

შემდეგ სიტყვა ეძლევა კორპუსის სარდალს ჩუიკოვს. დასავლეთ ბელორუსიის განთავისუფლებისათვის წარმოებული ბრძოლების მონაწილე მებრძოლთა, მეთაურთა და პოლიტმუშაკთა სახელით ამხ. ჩუიკოვი მგზნებარე წითელარმიულ სალამს გადასცემს დეპუტატებს და მათი სახით მთელ ბელორუს ხალხს. ის ლაპარაკობს გმირობისა და მამაცობის იმ სასწაულზე, რომლითაც ასრულებდნენ დიდი სტალინის მიერ აღზრდილი მებრძოლნი და მეთაურნი თავიანთი ხალხის ნებასურვილს და პანების უღლისაგან ათავისუფლებდნენ თვისტომ ძმებს.

დარბაზში მქუხარე და ხანგრძლივი ოვაცია იმართება ამხანაგ სტალინის პატივსაცემად, საბჭოთა მთავრობისა და წითელი არმიის პატივსაცემად.

დასავლეთ ბელორუსიის სახალხო კრების სრულუფლებიანი კომისიის წევრი, დისნის მაზრის გლეხის ამხ. სტომას გამოსვლის შემდეგ ბელორუსიის სსრ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე, მესამე სესიის მეორე სხდომა დახურულად ცხადდება.

სესიის შემდეგი სხდომა შესდგება 14 ნოემბერს.

თათბირი პროპაგანდის საკითხებზე

ვუშინ, საღამოს 7 საათზე, საქ. ფილარმონიის საკონცერტო დარბაზში შესდგა თბილისის საქალაქო თათბირი პროპაგანდის საკითხებზე, მიძღვნილი საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1938 წლის 14 ნოემბრის დადგენილებისადმი — „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ გამოშვებასთან დაკავშირებით პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ“.

თათბირს დაესწრნენ საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ხელმძღვანელი პარტიული მუშაკები, პროპაგანდისტები, საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის დამოუკიდებლად შემსწავლელნი და სხვ.

თათბირი მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხ. **ა. კვაჭაძემ.**

აღნიშნულ საკითხზე შინაარსიანი მოხსენებით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი პროპაგანდის დარგში ამხ. **ი. თავაძე.**

ამხ. ი. თავაძემ თავის მოხსენებაში შეაჯამა საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის გ. წ. 14 ნოემბრის დადგენილების გამოსვლის შემდეგ ჩატარებული მუშაობა პროპაგანდის გარდაქმნის ხაზით და აღნიშნა, თუ რა უდიდეს მოვლენას წარმოადგენდა ამ ისტორიული დოკუმენტის გამოსვლა ჩვენი პარტიის, მთელი საბჭოთა ხალხის იდეურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

მომხსენებელმა მთელი რიგი საინტერესო ფაქტებით ცხადჰყო, თუ როგორ გულმოდგინედ მუშაობენ ჩვენი კადრები მარქსისტულ-ლენინური თეორიის შესწავლაზე, როგორ ვითარდება ჩვენს კადრებში ხალისი და გემოვნება ბოლშევიზმის გმირული წარსულის შესწავლისადმი, მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის მოძღვრების დაუფლებისადმი.

შეჩერდა რა პროპაგანდისადმი არსებითი ხელმძღვანელობის საკითხებზე, ამხ. თავაძემ აღნიშნა, რომ საჭიროა საზოგადოებრივ-პარტიული აზრი მივმართოთ იმით წინააღმდეგ, ვინც არ ასრულებს საწესდებო მოთხოვნას — დაუღალავად იმუშაოს მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების შესასწავლად.

მოხსენების დასასრულს ამხანაგმა თავაძემ დასახა მთელი რიგი ღონისძიებები სალექციო და საკონსულტაციო მუშაობის ხარისხის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, თბილისის რაიონული პარტიული კაბინეტების მუშაობის უფრო გაშინაარსიანებისათვის და იდეურ-თეორიული მუშაობის შემდგომი აღმავლობისათვის.

მოხსენების ირგვლივ გამოვიდნენ ამხ. ჩილაკიანი (ბაბების ფაბრიკა), ნიკიტენკო (ლ. კეცხოველის სახელობის პარტიული პროპაგანდის სახლი), მღებრიშვილი (ლ. ბერიას სახ. ფეხსაცმლის ფაბრიკა), კუჭავა (თბილისის ორთქლმავალთაგონსარემონტო ქარხანა), კობახიძე (თბილისის საბჭო), ბირკაია (საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ლენინის რაიკომი) და ივარიანი (საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კიროვის რაიკომი).

კამათში გამოსულნი ამხანაგები აღნიშნავდნენ იმ მიღწევებს, რომლებიც მათ მოიპოვეს საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ისტორიული დადგენილების განხორციელების საფუძველზე.

ამასთან ერთად ხაზს უსვამდნენ იმ გარემოებას, რომ ცალკეულ პარტიულ ორგანიზაციებში ადგილი აქვს თვითდინებას პარტიულ პროპაგანდაში, ჯერ კიდევ საკმაო ყურადღება არ ექცევა ლექციების თემატურად შერჩევას, აუდიტორიის მომზადებას და სხვ.

დასასრულ თათბირმა მიიღო პრაქტიკული ღონისძიებები საპროპაგანდო მუშაობის უფრო გაშინაარსიანებისათვის და იდეურ-თეორიული მუშაობის შემდგომი აღმავლობისათვის.

დაიხურა რაიონული გაზეთების რედაქტორთა რესპუბლიკური თათბირი

რაიონული გაზეთების რედაქტორთა რესპუბლიკური თათბირის მეორე სხდომაზე გუშინ, 14 ნოემბერს გრძელდებოდა კამათი ამხ. **ი. თავაძის** მოხსენების გარშემო.

კამათში გამოვიდნენ ამხ. გ. მჭედლიძე (გაზ. „საკოლმეურნეო გზის“ რედაქტორი), ამხ. მ. ლეჟავა (გაზ. „კომუნიზმის გზით“-ის რედაქტორი), ამხ. ვ.ინასარიძე (გაზ. „ახალი სვანეთის“ რედაქტორი), ამხ. დ. გაბრიაძე (გაზ. „ლენინის დროშით“-ის რედაქტორი), ამხ. ო. თოლორდავა (გაზ. „სტალინეცის“ რედაქტორი), ამხ. ს. ებრალიძე (საქ. მთავლიტის უფროსი), ამხ. გ. ნოვრუზოვი (გაზ. „სოციალისტური სოფლის“ რედაქტორი), ამხ. ი. მამალაძე (გაზ. „სტალინელის“ რედაქტორი), ამხ. გ. ლომიძე (გაზ. „ბოლშევიკური ტემპით“-ის რედაქტორი), ამხ. ს. ხონელიძე (საქდესი), ამხ. გ. სიხარულიძე (გაზ. „სოციალისტური შეტევის“ რედაქტორი) და ამხ. სარქისიანი (ბოგდანოვკა).

თათბირის შედეგები შეაჯამა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის მოადგილემ **ამხ. ს. თარხანოვმა.**

მშრომელები აღგილობრივი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატებად ასახელებენ პარტიულსა და არაპარტიულ ბოლშევიკებს

ქ. თბილისის გერიას სახელობის რაიონი

საქართველოს საბჭოთა მწერალების კავშირის წევრებმა თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად წამოაყენეს ამხ. ირაკლი ბესარიონის-ძე აბაშიძე და ამხ. გიორგი ნიკოლოზის-ძე ლეონიძე.

უდიდესი ენტუზიაზმით ჩატარდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრთა — მხატვრული სიტყვის ოსტატთა წინასაარჩევნო კრება.

პირველად სიტყვით გამოვიდა ამხ. ს. ჩიქოვანი, რომელმაც თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმის პასუხისმგებელი მდივანი, ორდენოსანი პოეტი ამხ. ირაკლი ბესარიონის-ძე აბაშიძე.

შემდეგ სიტყვით გამოსულმა ამხ. ქ. ლორთქიფანიძემ, მხარი დაუჭირა რა ამხ. ს. ჩიქოვანის წინადადებას, ამხ. ირ. აბაშიძე დაახასიათა, როგორც ლენინ-სტალინის დიადი პარტიის საქმისათვის დაუღალავი მუშაკი და თბილისის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი.

ამხ. კ. ლორთქიფანიძის სიტყვის შემდეგ გამოდის ამხ. კ. კალაძე, რომელიც თბილისის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ასახელებს ორდენოსან პოეტს ამხ. გიორგი ნიკოლოზის-ძე ლეონიძეს.

— დეპუტატი, ხალხის მსახურია, — ამბობს სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ორდენოსანი დრამატურგი ამხ. შ. დადიანი, — ვფიქრობ ამ ბრწყინვალე სპპატიო მოვალეობას აქ დასახელებული კანდიდატები — ამხანაგები ი. აბაშიძე და გ. ლეონიძე ღირსეულად შეასრულებენ.

წინასაარჩევნო კრებაზე დამწყრე ამხანაგებმა ერთხმულოვნად მისცეს ხმა დასახელებულ კანდიდატებს.

ქ. ბათუმი

ქალაქ ბათუმის სტალინის სახელობის ნავთსახდელი ქარხნის მუშათა, ინჟინერ - ტექნიკოსთა, მოსამსახურეთა და დიასახლისთა წინასაარჩევნო კრების ქ. ბათუმის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ერთხმად წამოაყენეს ამხ. ა. ნ. რაფავა, გ. გ. გოჭორიშვილი, თ. ვ. სანაძე და ვ. ვ. შაუთიძე, ხოლო ლენინის რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ამხ. ვ. ა. გონგაძე, ნ. პ. დოლსკაულო, ა. გ. ხუროშვილი, შ. ხ. ხუნდაძე, გ. დ. სოკურაოვი და ი. გ. საბიაშვილი.

უდიდესი აღფრთოვანებით ჩატარდა ბათუმის სტალინის სახელობის ნავთსახდელი ქარხნის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკოსთა, მოსამსახურეთა და დიასახლისთა წინასაარჩევნო კრება, მიძღვნილი ბათუმის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელებისადმი. კრებაზე სიტყვით გამოსულმა ვ. ბაძგარაძემ განაცხადა, რომ ის დეპუტატობის კანდიდატად ასახელებს მეორე სამმეროს სტახანოველ ოპერატორს ა. ი. ნოვოკენინას.

შემდეგ სიტყვით გამოდის ამხ. პ. მახარაძე. ქალაქის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად,—ამბობს ი., — ვასახელებ ჩვენი ქარხნის მოწინავე ადამიანს ამხ. ი. ა. სკრიპკინს, რომელმაც სტახანოვური მუშაობითა და საზოგადოებრივ საქმიანობაში აქტიური მონაწილეობით სამართლიანად დაიმსახურა ქარხნის მუშათა სიყვარული და პატივისცემა.

სიტყვას ღებულობს ამხ. ვ. კორსუნსკი, მან დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა სან. კ. ბ. (ბ) აჭარის სოლქო კომიტეტისა და ბათუმის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. მ. ბარამია. ბათუმის ქალაქის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად, — განაცხადა, ამბ. ა. კულიკოვმა,—ვასახელებ ნავთსახდელი ქარხნის დირექტორს ამხ. ზ. ა. პირიაშვილს, რომლის ხელმძღვანელობით ჩვენმა ქარხანამ საწარმოო გეგმების შესრულებაში ახალახალი წარმატებები მოიპოვა. ამხ. პირიაშვილი ღირსეულად გაამართლებს ამომრჩეველთა მაღალ ნდობას.

კრებაზე სიტყვებით გამოვიდნენ ამხანაგები: ა. სიმონიანი, ნ. ზუბკოვა, ა. ეფრემოვი, შ. ჩიჩუა, მ. კაზაჩენკო, ზ. პირიაშვილი, რომლებმაც ილაპარაკეს რა იმ მაღალ საწარმოო აღმავლობაზე, რაც სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის შედეგად ბათუმის სტალინის სახელობის ნავთსახდელ ქარხანას ახასიათებს, ქალაქის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დაასახელეს ქარხნის მოწინავე ადამიანები: ვ. მ. ყურაშვილი, ტ. პ. გორიუნოვა, ა. ს. სარქისიანი, ს. ი. ბაკურიძე, ტ. ვ. ანდღულაძე და დიასახლისი ს. ვ. მგელაძე. კრებამ ერთსულოვნად დაუჭირა მხარი ბათუმის ქალაქის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად აღნიშნული ამხანაგების წამოყენებას.

კ. დოგორჯგინიძე

ქ. თბილისის ლენინის სახელობის რაიონი

თბილისის კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკოსებმა და მოსამსახურეებმა თბილისის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ერთხმად წამოაყენეს ამხ. ა. ნ. რაფავა, გ. გ. გოჭორიშვილი, თ. ვ. სანაძე და ვ. ვ. შაუთიძე, ხოლო ლენინის რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ამხ. ვ. ა. გონგაძე, ნ. პ. დოლსკაულო, ა. გ. ხუროშვილი, შ. ხ. ხუნდაძე, გ. დ. სოკურაოვი და ი. გ. საბიაშვილი.

13 ნოემბერს მუშაობის დამთავრებისთანავე შესდგა თბილისის კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის მუშების, ინჟინერ-ტექნიკოსებისა და მოსამსახურეების წინასაარჩევნო კრება, რომელსაც 700-მდე კაცი დაესწრო.

კრების თავმჯდომარემ ამხ. ნ. ორჯონიკიძემ პირველად სიტყვა მისცა ქარხნის პარტიული ორგანიზაციის ბიუროს მდივანს ამხ. ნ. დოქსოპულოს.

— თბილისის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ვასახელებ, — სთქვა ამხ. დოქსოპულომ, — საბჭოთა დაზვერვის გამოჩენილ მუშაკს, ლენინ-სტალინის პარტიის საქმისათვის თავდადებულ მებრძოლს, საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარს ამხ. ავქსენტი ნარიქის-ძე რაფავას.

საამწყობო საამქროს უფროსი ამხ. ი. ხვედელიანი თბილისის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ასახელებს ამხ. ვლადიმერ ვარლამის-ძე შაუთიძეს.

ამავე კრებაზე თბილისის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად წამოყენებულ იქნენ აგრეთვე ქარხნის მოწინავე მუშაკები ამხ. გიორგი გაბრიელის-ძე ბოჭორიშვილი და თამარ ვლადიმერის-ასული სანაძე.

კრებამ ლენინის რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ერთხმად წამოაყენა ამხ. ამხ. ვარლამ ალექსის-ძე გონგაძე, ნიკოლოზ პანაიდის-ძე დოქსოპულო, ალექსანდრე გიორგის-ძე ხუროშვილი, შუშანა ხარიტონის-ასული ხუნდაძე, გიორგი დავითის-ძე სოკუროვი და ოსებ გიორგის-ძე საბიაშვილი.

ქ. თბილისის სტალინის სახელობის რაიონი

ლითონ-კონსტრუქციის ქარხნის მუშებმა, მოსამსახურეებმა და ინჟინერ-ტექნიკოსებმა თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად წამოაყენეს ამხ. ვლადიმერ კვანტალიანი, იოსებ ნიკოლოზის-ძე უსოვი და მიხეილ ალექსის-ძე კუზნეცოვი. თბილისის სტალინის სახელობის რაიონის რაისაბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად წამოაყენეს ამხ. მარიამ ივანეს-ასული მურადაშვილი, ალექსი ნიკოლოზის-ძე ქოქრაშვილი და ემანუილ ქრისტეფორეს-ძე იარალოვი.

ჩატარდა თბილისის ლითონ-კონსტრუქციის ქარხნის მუშათა, მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა წინასაარჩევნო კრება.

პირველად სიტყვით გამოვიდა ქარხნის საგეგმო განყოფილების გამგე ამხ, ლ. მიკირტუმოვი.

— შემომაქვს წინადადება — თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დავასახელოთ ლენინ-სტალინის პარტიის საქმისათვის თავდადებული ადამიანი, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის კადრების განყოფილების გამგის მოადგილე ამხ. **ვლადიმერ კვანტალიანი.**

შემდეგ სიტყვა ეძლევა ამხ. პ. კარასამას, რომელსაც შეაქვს წინადადება — თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელებულ იქნას ქარხნის დირექტორი ამხ. **იოსებ ნიკოლოზის-ძე უსოვი.**

თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ასახელებენ დასახელებულ იქნა ქარხნის მოწინავე სტახანოველი მჭედელი ამხ. **მიხეილ ალექსის-ძე კუზნეცოვი.**

თბილისის სტალინის სახელობის რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად წინასაარჩევნო კრებამ დასახელებულ იქნა ქარხნის მოწინავე მუშაკები ამხ. გიორგი გაბრიელის-ძე ბოჭორიშვილი და თამარ ვლადიმერის-ასული სანაძე.

კრებამ ლენინის რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ერთხმად წამოაყენა ამხ. ამხ. ვარლამ ალექსის-ძე გონგაძე, ნიკოლოზ პანაიდის-ძე დოქსოპულო, ალექსანდრე გიორგის-ძე ხუროშვილი, შუშანა ხარიტონის-ასული ხუნდაძე, გიორგი დავითის-ძე სოკუროვი და ოსებ გიორგის-ძე საბიაშვილი.

ქ. ქუთაისი

ქუთაისის კიროვის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის მუშა - მოსამსახურეებმა და ინჟინერ - ტექნიკოსებმა ქუთაისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად წამოაყენეს ი. ი. ბეშკენაძე, გ. ე. ნარსია, ო. ე. ჩლაქიშვილი, დ. ო. მსხილაძე, ლ. ი. ხორავა, ა. პ. ზაქარაშვილი, ბ. ბ. ბალავაძე, თ. ი. ნამჩევაძე, ვ. ლ. კვატაშაძე, გ. ს. რობაქიძე და გ. ი. მალნარაძე

დაიწყო ქუთაისის ქალაქის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება. მუშათა და ინტელიგენციის მრავალრიცხოვანი წინასაარჩევნო კრებები მაღალი პოლიტიკური აქტივობით ტარდება. დეპუტატობის კანდიდატებად ასახელებენ ლენინ-სტალინის პარტიის საქმისადმი ბოლომდე ერთგულ ადამიანებს.

ქუთაისის კიროვის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა წინასაარჩევნო კრებას 800-ზე მეტი კაცი დაესწრო. სიტყვას ითხოვს ფაბრიკის მოწინავე მუშა ამხ. ი. შუბლაძე. მან ქუთაისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 165 საარჩევნო ოლქიდან დაასახელა შრომის წარჩინებული ოსტატი იულია ირაკლის-ასული ბეშკენაძე.

ამხ. ე. ასათიანმა ქალაქის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 202 საარჩევნო ოლქიდან დაასახელა საქ. კ. პ. (ბ) ქუთაისის ქალაქკომის მდივანი, საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ამხ. გრიგოლ ესეს-ძე ნარსია. ქუთაისის მშრომელები,—სთქვა, ამხ. ასათიანმა — კარგად იცნობენ ამხ. ნარსიას, როგორც ლენინ-სტალინის პარტიის ერთგულ შვილს და ბეჯით სახელმწიფო მოღვაწეს.

წინასაარჩევნო კრებამ დეპუტატობის კანდიდატებად ერთხმად წამოაყენა აგრეთვე ამხ. ო. ე. ჩლაქიშვილი, დ. ო. მსხილაძე, ლ. ი. ხორავა, ა. პ. ზაქარაშვილი, ბ. ბ. ბალავაძე, თ. ი. ნამჩევაძე, ვ. ლ. კვატაშაძე, გ. ს. რობაქიძე და გ. ი. მალნარაძე.

ცნობა

თბილისის სტალინის სახელობის რაიონის მშრომელთა დეპუტატების არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისია მოთავსებულია სტალინის რაისაბჭოს თავმჯდომარის მოადგილის კაბინეტში. პლეხანოვის გამზირი № 121.

დაწესებულია კომისიის წევრთა მორიგეობა დილის 10 საათიდან საღამოს 12 საათამდე.

ანკარაში ბაზარია, ბაზარში კი გაზეთი „ტანი“

ურთიერთდახმარების ხელშეკრულებაში, რომელიც თურქეთმა ინგლისთან და საფრანგეთთან დასდო, სრულებით არაფერია ნათქვამი ანკარაში გამომავალ თურქულ გაზეთ „ტანზე“. არაფერია იმის შესახებ, თითქოს ამ გაზეთს ხელშეკრულებით ეკისროს განსაკუთრებული და უპირატესი მოვალეობა სთხზას ჭორები სსრ კავშირის შესახებ, ცილი სწამოს საბჭოთა კავშირს და საერთოდ ამღვრიოს ატმოსფერო. მაგრამ გაზეთმა თავისთვის სწორედ ასე გაიგო ახალი მდგომარეობა, რომელიც თურქეთში შეიქმნა. მან გადასწყვიტა, რომ სწორედ მას აქვს დაკისრებული მთელი სიმძიმე ბეჭდვითი სიცრუისა ომის შესახებ, სხვადასხვა ხელშეწყობების შესახებ, რომლებიც მონაწილეობენ ან არ მონაწილეობენ ომში. და აი „ტანი“ გამოდის სწორედ ისე, თითქოს მის გარდა აღარავინ იყოს, ვისაც შეეძლოს სიცრუის წერა იმპერიალისტურ პრესაში. მან გადასწყვიტა წაართვას დამსახურებული დაფნის გვირგვინი ანტისაბჭოთა სიცრუისა და ცილის წაბების ყველაზე განთქმულ რეკორდისტებს.

ყველა მოქმედებს ისე, როგორც შეუძლიან. ბუნებამ გაზეთი „ტანი“ დააჯილდოვა ჭარბი ფანტაზიით, მაგრამ არ მისცა ლოგიკა და საღი აზრი. აქედან წარმოსდგება უცნაური და კომიკური შედეგები. როდესაც, მაგალითად, ფრანკო არმია დასავლეთ უკრაინასა და დასავლეთ ბელორუსიაში წინ მიიწევდა, „ტანმა“ ქვეყნიერებას აუწყა, რომ მოსალოდნელია შეტაკება გერმანიისა და საბჭოთა ჯარებს შორის და ბერლინში საშინელი შეშფოთებაა გამეფებულიო (4 ოქტომბერი).

თურქ ჟურნალისტთა მეტისმეტად ცხოველმა წარმოსახვამ დახატა მათთვის ფრიად მომხიბლავი სურათი. მათ თვითონვე დაიჯერეს ის, რაც ასე სულით და გულით უნდოდათ. მაგრამ ყოველივე ამიდან გაზეთისათვის მხოლოდ შერცხვენა გამოვიდა.

ამასწინათ „ტანმა“ გამოაქვეყნა ცნობა, რომ ომის ძირითადი გამომწვევი ხმა არავინ არის, თუ არ საბჭოთა კავშირი, ვინაიდან მას „სურს ჩააბას გერმანია მეტად გამძაფრებულ ომში დასავლეთის ფრონტზე“ (25 ოქტომბერი). ამ სიცრუეს საფუძვლად უდევს თურქული გაზეთის კეთილი სურვილი წაუსისინოს გერმანია სსრ კავშირს. მაგრამ ფანტასტიური სიცრუით გატაცებულ გაზეთს დავიწყდა ის, რასაც წინადღით სწერდა: „ზავის ჩამოგდება ეწინააღმდეგება ინგლისის ინტერესებსო“ (5 ნოემბერი).

თურქული გაზეთის ჭორებში არავითარი სისტემა არ არის. ისინი პირდაპირ კალრილს ცეკვავენ. ხან სსრ კავშირი ილაშქრებს ბალკანეთის წინააღმდეგ და იტალია უნგრეთს ჰპირდება დახმარებას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, — ეს არის 31 ოქტომბრის ნომერში. ხან საბჭოთა კავშირმა მოწყალედ დაუთმო ბალკანეთი გერმანიას,—ისე იყავით, როგორც საკუთარ სახლშიო. ეს არის 13 ოქტომბრის ნომერში. ქრისტიანული მორალი მოითხოვს, რომ მარცხენა ხელმა არ უწყოდეს, თუ რას აკეთებს მარჯვენა.. მაგრამ თურქული გაზეთი უფრო შორს მიდის. მისმა ერთმა თითმა არ უწყის, თუ რას სწოვს მეორე თითიდან უმეცარი რედაქტორი.

შესანიშნავი არაბესკებია დახატული 25 ოქტომბრის ნომერში. არა თავისი საკუთარი კორესპონდენტისაგან მოსკოვში, არამედ თავისი საკუთარი ლონდონის კორესპონდენტისაგან. ამ ნომერში გაზეთმა გაიგო მთელი ინდოეთის გაყოფის შესახებ სსრ კავშირსა და გერმანიას შორის. გაიყვეს, თურმე, ძმურად: ბრიტანეთის ინდოეთი — საბჭოთა კავშირს, ხოლო ჰოლანდიისა — გერმანიას. როგორ მოგწონთ? მაგრამ ფანტაზიის სიფიცხე აქვე ლუპავს უმეცარ თურქ მეზღაპრეს. ერთი კვირის შემდეგ მან გაიგო—ისევ იმავე წყაროდან, — რომ გერმანია ატყუებს სსრ კავშირს, ხოლო სსრ კავშირი „გულწრფელი არ არის“ გერმანიის მიმართ (2 ნოემბერი). აი, დაუჯერეთ ამის შემდეგ, რომ გაიყვეს ინდოეთი!

ინდოეთი გაიყვეს... ხოლო ჩინეთი და მონღოლეთი გაერთიანეს! გაზეთმა „ტანმა“ შეიტყო, რომ პროექტში უკვე არსებობს რომელიღაც „ჩინეთ-მონღოლეთის რესპუბლიკა“ და სსრ კავშირი მისი სახელით შესთავაზებს ზავს იაპონიას... (20 ოქტომბერი). ეშმაკმა იცის, რა არის! ამას სახელსაც ვერ შეურჩევ. რუსულად ეს სისვი ფაშატის ბოდვაა. მაგრამ რა ფერის თმა აქვს „ტანის“ რედაქტორს, ჩვენ არ ვიცით.

ამ სისულელეებს რომ წაიკითხავ, ცხადი ხდება, რომ თურქულ გაზეთს აქვს ერთი მკვეთრად გამოსახული წადილი: გადაჰკიდოს სსრ კავშირი გერმანიას, გადაჰკიდოს სსრ კავშირი ბალკანეთის ნახევარკუნძულის ხალხებს, საერთოდ ყველას, ვინც არ მონაწილეობს ომში ინგლისელ და ფრანგ დამკვეთთა მხარეზე. თურქულ გაზეთს საშინლად აჯავრებს ის, რომ სსრ კავშირი ნეიტრალიტეტს იცავს. მაგრამ იმისთვისაც, რომ გადაჰკიდოს, საჭიროა რაღაც პატარა ძალა და რაღაც პატარა ჭკუა. მკვირცხლი თურქი ჟურნალისტები დაძვრებიან და მაბეზღარობენ: უნგრელო ბიძია, შეხედე—სსრ კავშირი შენ გიმიზნებს! გერმანელო ბიძია, შეხედე— სსრ კავშირი რაღაცას გიპირებს... მაგრამ რაც უფრო მეტს ფაციფუცობენ ცილისწამების საქმეთა ეს მაკლერები, მით უფრო მეტად აბეზღავებენ თავიანთ თავს.

ერთი მხრით, სსრ კავშირი გამოეცდის „ტანს“ ქვეყნად, რომელიც ყველა მეზობლებს ომით ემუქრება. ხოლო მეორე მხრით, სწერს მარცხიანი გაზეთი, „სსრ კავშირი განზრახ დარჩა განზე ამ ომისაგან, რათა განიმტკიცოს ძალები და, ისარგებლებს რა იმპერიალიზმის სისუსტით, დაიკავოს გაბატონებული მდგომარეობა“ (4 ნოემბერი). აი რა მზაკვარია სსრ კავშირი! უჭკუო გაზეთს ვერ მოუფიქრებია, რომ თვითეული მისი მკითხველი მისცემს კანონიერ შეკითხვას: მაშ თურქეთი „განზრახ“ რატომ არ დარჩა განზე ომისაგან, რომ განიმტკიცებინა თავისი ძალები?

აღმოსავლეთში ბაზრები განთქმული არიან თავისი ხმაურით. უხმაუროდ ვერ იყიდი, ვერ გაჰყიდი, ვერ მოატყუებ. სამწუხაროა, რომ თურქეთის ახალი მდგომარეობა უწინარეს ყოვლისა გამოიხატა იმაში, რომ თურქეთის პრესის ერთი ნაწილი, გადაიქცა ბაზრად, სადაც ჰყიდიან სინიდისს, ვაჭრობენ პატიოსნებით და ატყუებენ ხალხს.

ანკარის საგაზეთო ბაზარზე ყველაზე გამაყრუებლად გაჰყვირის გაზეთი „ტანი“. იგი ხომ ანტისაბჭოთა საქონლით ვაჭრობს, და მან აშკარად დამპალი საქონელი უნდა გაასაღოს. მაგრამ საბაზრო პრესა— გროშად ღირებული პრესაა. პატივისცემაც მას ფასის შესაფერი ექნება.

დ. ოსიპოვი

(„პრავდა“, 14/XI).

თბილისი. პეროვის ქ., № 9 მცხოვრები დიასახლისები ვალენტინა ხაუძეხკო, ელენე ხერხეულიძე და ვარვარა ფილიპია ეცნობიან ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დებულებას. ფოტო რ. აკოფოვისა

პარტიული პროპაგანდის ახალი წარმატებებისათვის

1938 წლის 14 ნოემბერს გამოქვეყნდა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ გამოშვებასთან დაკავშირებით პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ“. „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ გამოქვეყნება თავისთავად უდიდესი მოვლენა იყო ბოლშევიკური პარტიის იდეურ ცხოვრებაში. საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება წარმოადგენდა მობრუნების წერტილს პარტიის ისტორიის შესწავლის სწორად დაყენების, მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი მოძღვრების დაუფლების, სსრ კავშირის მილიონობით მშრომელთა იდეური დონის, ბოლშევიკური კადრების იდეური შეიარაღების ამაღლების საქმეში. საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ მიუთითა პარტიული პროპაგანდის დაყენების საქმეში არსებულ უმნიშვნელოვანეს ნაკლოვანებებზე. ამავე დროს ეს დადგენილება მთელი პროპაგანდისტული მუშაობის, იდეოლოგიურ ფრონტზე მთელი მუშაობის გარდაქმნის გაშლილ პროგრამად გადაიქცა. შეიძლება ითქვას, რომ ამ დადგენილებამ მილიონობით ადამიანებს ჩაუნერგა იმის რწმენა, რომ მათ თვითონ, დამოუკიდებელი შესწავლით შეუძლიათ დაეუფლონ მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის საფუძვლებს, ისე როგორც ისინი ეუფლებიან სხვა მეცნიერებას.

თუ ამ დადგენილებამდე პროპაგანდის ძირითადი შეთოდი იყო სიტყვიერი პროპაგანდა წრეების მეშვეობით, ამ დადგენილების შემდეგ მარქსიზმ-ლენინიზმის შესწავლის. პარტიის ისტორიის შესწავლის მთავარ და ძირითად საშუალებას წარმოადგენს **დამოუკიდებელი კითხვა.** ბოლშევიკების პარტიამ უდიდესი მუშაობა შეასრულა იმისათვის, რომ საშუალება მიეცა კადრებისათვის დამოუკიდებლად შეესწავლათ ბოლშევიზმის ისტორია და მოძღვრება. „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“ გამოქვეყნდა 41 ენაზე 15 მილიონზე მეტი ტირაჟით. ამხანაგ **სტალინის** „ლენინიზმის საკითხების“ ახალი, მეთერთმეტე გამოცემა — 4 მილიონი ტირაჟით. უდიდესი ტირაჟებით გამოიცა მარქსის, ენგელსის, ლენინის, სტალინის ნაშრომები. მაგალითად, მარქსიზმის კლასიკოსთა 40-ზე მეტი ნაწარმოები გამოცემულია ტირაჟით არანაკლებ 200-300 ათასისა თვითეული. ასეთი ტირაჟებით არის გამოცემული პლეხანოვის უმნიშვნელოვანესი ნაშრომები.

ამოცანა, რომელსაც პარტია ისახავდა, როდესაც იგი „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსს“ ჰქმნიდა, — მოეხდინა ჩვენი კადრების თეორიული და პოლიტიკური ჩამორჩენილობის ლიკვიდაცია, — ეს ამოცანა ნაწილობრივ შესრულებულია უკვე ცენტრალური კომიტეტის დადგენილების დღიდან პირველი წლის განმავლობაში. მნიშვნელოვნად გაიზარდა **ბეჭდვითი პროპაგანდის** როლი. საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება მიუთითებდა, რომ საჭიროა „ლიკვიდირებულ იქნას პრესის, როგორც მარქსიზმ-ლენინიზმის უმნიშვნელოვანესი იარაღისა და პროპაგანდის სრულიად-საკავშირო ტრიბუნის, მნიშვნელობის შეუფასებლობა. გაძლიერდეს პრესის როლი მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდის საქმეში“. არ შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ გაკეთებული იყოს ყველაფერი, რასაც მოითხოვს პარტია, რასაც მოითხოვს ჩვენი გაზეთებისა და ჟურნალების მნიშვნელოვნად გაზრდილი მკითხველი. მაგრამ ჩვენს პარტიულ პრესაში ჯერ კიდევ არასოდეს არ გამოქვეყნებულა იმდენი პროპაგანდისტული სტატიები, კონსულტაციები, პასუხები თეორიული ხასიათის კითხვებზე, როგორც მიმდინარე წლის განმავლობაში. ამ მიმართულებით დიდი მუშაობა შეასრულეს აგრეთვე მთელმა რიგმა **საოლქო გამომცემლობებმაც.** მაგალითად, გამომცემლობა „მოსკოვსკი რაბოჩიმ“ პარტიის ისტორიისა და მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრების შემსწავლელთა დასახმარებლად 1939 წელს მასობრივი ტირაჟებით გამოუშვა სერია „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ კონსულტაციების კრებულებისა და სხვა ბროშურებისა.

ლექციები პროპაგანდის ერთერთ უმნიშვნელოვანეს მეთოდად გადაიქცა. სალექციო მუშაობამ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მითითების მეოხებით უმაგალითო გაქანება მიიღო. ლექციები მარტო დიდი ქალაქების ყოფაცხოვრებაში როდი ინერგება, ლექტორებს კოლმეურნეობებიც მოითხოვენ. საკმარისია ითქვას, რომ მოსკოვის ოლქში 1939 წლის იანვარ-სექტემბრის განმავლობაში წაკითხულია 8.500 ლექცია, რომლებსაც 840 ათასზე მეტი მსმენელი დაესწრო.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ლექტორთა მუშაობის დაყენებას. საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან შექმნილია ლექტორთა ჯგუფი. ლექტორთა ასეთი ჯგუფები იქმნება საოლქო კომიტეტებთან, სამხარეო კომიტეტებთან, აგრეთვე ბევრმა საქალაქო კომიტეტმა და რაიკომმა შეჰქმნა ლექტორთა კვალიფიციური ჯგუფები. მიმდინარე წლის ზაფხულში მოწვეული იყო მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრების ხელმძღვანელთა თათბირი, ხოლო მის შემდეგ მოწვეული იყო მეორე თათბირი — ლექტორებისა პარტიის ისტორიის, მარქსიზმ-ლენინიზმის საკითხებზე. ამ ორმა თათბირმა, შეაჯამა რა პროპაგანდისტული მუშაობის შედეგები, მთელი რიგი ღონისძიებანი დასახა პარტიული პროპაგანდის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

პარტიული პროპაგანდის ხელმძღვანელობის შემდგომი გაუმჯობესების საქმეში უდიდესი როლი ითამაშა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ და, უფრო გვიან, XVIII ყრილობის გადაწყვეტილებებმა. საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში პროპაგანდისა და აგიტაციის სამმართველოს შექმნა ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. ჟდანოვის მეთაურობით და საოკრუგო კომიტეტებთან, საოლქო კომიტეტებთან, სამხარეო კომიტეტებთან და მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებთან ასეთივე განყოფილებების შექმნა ამ ორგანოების მდივნების მეთაურობით მოწმობს იმ სერიოზულ მნიშვნელობას, რასაც საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი პარტიული პროპაგანდის საქმეს ანიჭებს. ამას ისიც მოწმობს, რომ მოეწყო უმაღლესი პარტიული სკოლა, რომელიც ამ დღეებში იწყებს მუშაობას.

როგორც მეტად საინტერესო თაოსნობა, საჭიროა აღინიშნოს **აპარატის მუშაკთა დილის კურსების** ჩატარება მთელ რიგ ორგანიზაციებში.

ამ სამუშაოზე იზრდება ასობით პროპაგანდისტი, ხდება საუკეთესო პროპაგანდისტთა შერჩევა მუდმივ, შტატის ლექტორებად. ამ სამუშაოზე უნდა წავიდნენ საუკეთესო ბოლშევიკები, მათ უნდა იცოდნენ, რომ კომუნიზმის ფუძემდებლებმა თავიანთი ახალგაზრდა ძალები გაშალეს სწორედ როგორც პროპაგანდისტებმა. პროპაგანდისტს უნდა ახსოვდეს, რომ იგი ასრულებს უაღრესად საპატიო მოვალეობას, რომ იგი ზრდის, რომ მას უფრო მაღალ საფეხურზე აჰყავს კომუნიზმის ახალი, ასიათასობით მშენებლები. პროპაგანდისტს, ისე როგორც მის მსმენელს, უნდა ახსოვდეს, რომ ჯერ კიდევ არასოდეს არ ყოფილა ისეთი ხელსაყრელი პირობები სწავლისათვის, როგორც ახლა. მათ მომსახურებას უწევენ საუკეთესო ბიბლიოთეკები, მათ მომსახურებას უწევს 5 ათასი საქალაქო და სარაიონო პარტკაბინეტი, მათ შორის 250 პარტკაბინეტი უდიდეს სამრეწველო საწარმოებთან. ამ პარტკაბინეტებში ისინი იღებენ დახმარიბას წრგნით დამოუკიდებელ მუშაობაში, კონსპექტის შედგენაში, ისმენენ კვალიფიციურ ლექციებს. ასე, მაგალითად, ორჯონიკიძის მხარის საკ. კ. პ. (ბ) სტალინური რაიონული საბჭოს პარტკაბინეტმა 8 თვის განმავლობაში პარტკაბინეტის ლექტორიუმში მოაწყო 253 ლექცია და 1.158 ინდივიდუალური კონსულტაცია. მაგრამ ცალკეულ ორგანიზაციებში, უეჭველია, ძალიან სუსტ ხელმძღვანელობას უწევენ წრეებს. პარტიული ორგანიზაცია ხშირად საკმაო ყურადღებას არ აქცევს წრეების მუშაობას, რის გამო წრეები, ვერ იღებენ რა თავის დროზე დახმარებას, ზოგჯერ იშლებიან.

პროპაგანდის სწორად დაყენებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს **ლექტორთა, პროპესმინართა, პარტკაბინეტთა მუშაობის შემოწმებას, ამ მუშაობისათვის კონტროლის გაწევას.** სამწუხაროდ, პარტიული ორგანიზაციების ყველა ხელმძღვანელი როდი აძლევს შემოწმების ამ საქმეს საკმაოდ დიდ მნიშვნელობას. მთელ რიგ არსებითს ნაკლოვანებებს აღნიშნავს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1939 წლის 16 აგვისტოს დადგენილება ბელორუსიის სს რესპუბლიკაში, ორიოლისა და კურსკის ოლქებში მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდის დაყენების შესახებ. და ამ დადგენილებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე პარტიული პროპაგანდის გაუმჯობესებისათვის; მან ბევრ ორგანიზაციაში გამოასწორა პარტიული პროპაგანდის დაყენების მთელი რიგი დეფექტები. საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა ამ დადგენილებით კვლავ ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა საპატიო ადგილს უთმობს იგი მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდას, პარტიის ისტორიის შესწავლას. საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა თავისი გადაწყვეტილებით კიდევ ერთხელ მოაგონა ყველა კომუნისტს მათი **მოვალეობა** ყოველდღიურად ამაღლონ თავიანთი იდეური დონე, ხოლო პარტორგანიზაციებს — მათი მოვალეობა **შეამოწმონ,** თუ როგორ ასრულებენ ბოლშევიკები წესდების ამ მოთხოვნას.

შედეგად ჩვენ გვაქვს დიდი, ამ ერთი წლის განმავლობ

ᲓᲣᲨᲔᲗᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘ ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲔᲑᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

სურათზე (წინა პლანზე — მარცხნიდან): სოფ. ახიელას (არხოტი) საბჭოს წევრი გარსია ოჩიაური, ხევსური მოსწავლეები ზ. ლიქოკელი და ს. გუშარაშვილი გლობუსზე მეცადინეობენ, სოფ. ახიელას ჯოგონების ჯგუფი, სოფ. მჭადისჯვრის აგიტატორი ა. ძლიერაშვილი აცნობს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებს ადგილობრივ საბჭოების არჩევნების დებულებას, კომკავშირელი ნინო ჭინჭარაული უკითხავს ხევსურ ქალებს არჩევნების დებულებას (სოფ. ბარისახო), ლელა ნორაზეული სოფ. კვერნაძეულიდან. (ყანა პლანზე — მარცხნიდან): სოფელ-ცაზე შატილი, ელექტროსადგური სოფ. ბარისახოში, დუშეთის საშუალო სკოლის შენობა, სოფ. ბარისახოს კოოპერატივის, ფოსტისა და სოფლის საბჭოს შენობები.

ᲘᲖᲠᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲒᲚᲘᲕᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲡᲝᲤᲔᲚᲘ

90 წლის მოხუცი, მჭადისჯვრელი გიორგა სამაშვილი დინჯად მოგვითხრობს:

— მთელი მიდამოები ნარეკვავის გალმა-გამოღმა, მთელი ეს სახნავი მიწები, მინდვრები, ტყე და ეენახ-ბაღები მუხრან-ბატონისა იყო. ჩვენ კიდევ იმის ყმები ვიყავით. გაგვეგონა, რომ ბატონყმობა გადაგარდაო, მაგრამ მუხრან-ბატონი ძველებურად ბატონობდა და ვაი იმას, ვინც ურჩობას გაუწევდა.

1905 წელს მჭადისჯვრელები, კლდ. სწყაროელები, გრემისხეველები, ოკამლები აჯანყდნენ მუხრან-ბატონის წინააღმდეგ, მოიყარეს თავი მისი სასახლის ეზოში და მოითხოვეს, რათა დაებრუნებინა გლეხებისათვის მათთვის წართმეული პირნახული. მუხრან-ბატონმა გამოიწვია ჯარი და კეტებით, ჯოხებით, ყუმბლებით შეიარაღებულ გლეხებს ჯარმა ტყვია დაუშინა. ოცამდე კაცი მოკვდა, უამრავი გლეხი დაიჭრა. დაიჭრა გიორგა სამაშვილიც, რომელსაც ჭრილობა დღესაც ეხრნება.

როცა საქართველოს მიწა-წყალს ხალხის საზიზღარი მტრები, მოღალატე მენშევიკები დაეპატრონენ, მჭადისჯვრელების მდგომარეობა ისევ შავბედითი დარჩა. ხალხი შიმშილით იხოცებოდა. 1918 და 1919 წლის აჯანყებაში, რომელმაც დუშეთის ყოფილ მაზრაში იფეთქა მენშევიკების წინააღმდეგ, მჭადისჯვრელები მოწინავე რიგებში იყვნენ.

მჭადისჯვრელები უდიდესი სიხარულითა და აღფრთოვანებით შეხვდნენ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას.

მუხრან-ბატონის სასახლეში გახსნეს სკოლა, ერთი შენობა დაუთმეს სოფლის საბჭოს და ვრცელი ეზო, ქვითკირის კედლით შემოვლებული, სასეირნო ადგილად გადააქციეს.

მჭადისჯვარმა დაიწყო ახალი ცხოვრება. სტალინის სახელობის კოლმეურნეობა, რომელშიც მთელი სოფელია გაერთიანებული, ერთერთი მძლავრი კოლმეურნეობაა მთელს დუშეთის რაიონში.

მჭადისჯვრის კოლმეურნეობას ხელმძღვანელობს სონკა სამაშვილი, შვილი მოხუცი გიორგასი.

შეწყობილად მუშაობენ საკოლმეურნეო მინდვრებში მჭადისჯვრელები.

ახალმა ცხოვრებამ ახალი ადამიანები წარმოშვა სოფლად. ბრიგადირები სოლო დინუაშვილი, იასონ მიშელაშვილი და სოლომონ ყუაშვილი ჩინებულად უძღვებიან საქმეს და მათი ბრიგადები გეგმებს დროზე და გადაჭარბებით ასრულებენ. იოსებ მუმლაური, ლექსო არჩუაძე, პეტა ძრელიშვილი და სინკო მიღდისოვი საუკეთესოდ უელი. ან ვენახს. ვაზის მყნობაზე მათ გამოუშავებული აქვთ თვითეულს 350-400 შრომადღე. პატიოსანი მუშაობით სოფლად ცნობილი არიან შემდეგი: შალიკო მახარაშვილი, გრიგოლ დინუაშვილი და ზაქარა მალუტაშვილი.

— წელს დიდი მოსავალი მივიღეთ. მარტო სიმინდი ერთ ჰექტარზე 25 ცენტნერი ავიღეთ, — მჭადისჯვრის სოფლის საბჭოში არაერთი სახელგანთქმული კოლ. მეურნეობაა. ს. ზემოშუახევის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ წელს ერთ ჰექტარზე 30 ცენტნერი სიმინდი აიღო.

ქვემო კოდისწყაროს ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობამ შრომადღეზე გაანაწილა 12½ კილოგრამი ხორბალი და სიმინდი.

ს. ციხელდავის კოლმეურნეობამ, ნაცვლად 65 ჰექტარისა საშემოდგომოდ მოხნა და დასთესა 76 ჰექტარი. ამ კოლმეურნეობამ შრომადღეზე გაანაწილა 12 კილო პური და ქერი.

○

მჭადისჯვრის სოფლის საბჭოში გაცხოველებული მზადებაა მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის. 2.692 კაცი მიიღებს მონაწილეობას არჩევნებში. ჩამოყალიბებულია 58 წრე, სადაც ამომრჩევლები სწავლობენ სტალინურ კონსტიტუციას და საარჩევნო დებულებას. სოფლად მუშაობს 52 აგიტატორი.

აგიტატორად გამოყოფილია სკკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი, მასწავლებელი ამხ. ვანო კალანდაძე. კარგად მუშაობს აგიტატორი ამხ. ვასო არჩუაძე (სკკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი). იგი სოფლის საბჭოს საფინანსო დარგის მუშაკია და თავის საქმეს კარგად უძღვება. მუშაობაში ფართოდ არიან ჩაბმული უპარტიო ამხანაგები. უპარტიო მასწავლებლები ამხ. თამარ ფარნავიანი, არკადი გურგენიძე, ქეთო გრძელიშვილი აგიტატორებად მუშაობენ სოფლად, დაუღალავად ამზადებენ დიასახლისის ქალებს არჩევნებისათვის.

ს. ციხელდავის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. იოსებ ძებისაშვილი მეორე წელია, რაც დაბრუნდა წითელ არმიიდან. მისი ხელმძღვანელობით კოლმეურნეობაში განმტკიცდა შრომის დისციპლინა. კოლმეურნეობამ ყველაზე ადრე დაამთავრა მოსავლის აღება და საშემოდგომო თესვა.

ს. ოძისის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი ამხ. ფეფო ბაქაქური დიდი ავტორიტეტით სარგებლობს კოლმეურნეთა შორის. იგი დაუღალავი მუშაკია. მან თავისი მაგალითით არაერთი ათეული ქალი ჩაბა საკოლმეურნეო შრომაში.

ს. კოდისწყაროს კოლმეურნეობაში კარგად არის ცნობილი კოლმეურნე მარო ბედოშვილი. იგი ყოველდღიურ დავალებას 200 პროც. ცენტით ასრულებს.

ჩვენი დიდი სამშობლოს გამარჯვებით აღფრთოვანებული მოწინავე ადამიანები, რომლებიც მჭადისჯვრის საბჭოში მრავლად არიან, მთელი თავისი არსებით იბრძვიან ლენინ-სტალინის საქმის ზეიმისათვის, იმისათვის, რომ კიდევ უფრო ძლიერი, ლამაზი და დოვლათიანი გახდეს საკოლმეურნეო სოფელი.

(საქდესი).

ᲥᲐᲦᲐᲥᲘ ᲓᲣᲨᲔᲗᲘ

დუშეთის ადორძინება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან დაიწყო. მრავალი ახალი შენობა შეემატა ქალაქს. დუშეთს ამშვენებს საშუალო სკოლის ორსართულიანი შენობა, რომელიც ნავარაუდევია 900 მოწაფისათვის; აგებულია საბავშვო ბაგის, სასტუმროს, საგზაო განყოფილების, სავეტერინარო ლაბორატორიისა და კოოპერატივის შენობები. ქალაქს აქვს ელექტროსადგური და წყალსადენი.

ქალაქის ცენტრში გაშენებულია ბაღი, სადაც აღმართულია გენიალური ლენინის ძეგლი. ქუჩებში გაშენებულია ხეივნები. მოკლე ხანში მზად იქნება ფიზკულტურის მოედანი.

ბევრი რამ გაკეთდა სახალხო განათლების დარგში. დუშეთს აქვს პედაგოგიური სასწავლებელი, საშუალო სკოლა, არასრული საშუალო სკოლა, დაწყებითი სკოლა, სამედიცინო სასწავლებელი, მოზრდილთა საშუალო სკოლა.

ყოფილი ყაზარმების შენობაში გახსნილია საავადმყოფო რენტგენის კაბინეტითურთ და 9—საწოლიანი სამშობიარო სახლი. ქალაქს აქვს პოლიკლინიკა, სამალარიო პუნქტი, ტუბერკულოზური და ვენერიული დისპანსერები, დედათა და ბავშვთა კონსულტაცია.

ქალაქის საბჭო დიდ ყურადღებას აქცევს ქალაქის მშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას. მიმდინარეობს საძიებელი მუშაობა ახალი წყალსადენის გაყვანად. სასმელი წყალი გამოყვანილი იქნება ინიანთკარიდან, რომელიც არაგვის ნაპირას მდებარეობს, დუშეთიდან 6 კილომეტრზე. აქ არის მიწისქვეშა წყაროები—საუკეთესო სასმელი წყალი.

შედგენილია ქალაქის კეთილმოწყობის გეგმა, რომელიც ითვალისწინებს შენობების აგებას პედსასწავლებლის და საავადმყოფოსათვის, შენდება კინოთეატრი, 9—ბინიანი საცხოვრებელი სახლი და სხვ.

ყოველწლიურად იზრდება ქალაქის ბიუჯეტი. 1938 წელთან შედარებით ბიუჯეტი 38,7 პროცენტით გაიზარდა.

მატულობს ქალაქის მოსახლეობაც. 1939 წლის აღწერით, ქალაქის მოსახლეობა 3.912 კაცს უდრის.

ქალაქს ახალი უბნები შეემატა. ანანურის სოფლის საბჭოდან დუშეთში გადმოსახლდა 40 კომლი გლეხი, რომლებმაც კოლმეურნეობა ჩამოაყალიბეს და სერგო ორჯონიკიძის სახელი უწოდეს. 21 კომლი დასახლდა ახალშალიკაანთ უბანში. ახალდასახლებულთ სახელმწიფოსაგან მიეცა სესხი—კომლზე 2.500 მანეთი და ხე-ტყის მასალა.

აი, ასეთი მიღწევებით ეგებება დუშეთი მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებს. მოსახლეობამ ქალაქის საბჭოში უნდა აირჩიოს 35 დეპუტატი. თვითეული მოქალაქე კარგად გრძნობს, რომ არჩევნებს უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. ამით აიხსნება ის ენტუზიაზმი, რომლითაც მოსახლეობა ემზადება არჩევნებისათვის.

ი. ღარიბაშვილი

დუშეთის ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე.

ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ

მაღაროსკარის სოფლის საბჭოს მოსახლეობა უდიდესი სიხარულით შეხვდა საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებას მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დღედ 24 დეკემბრის დანიშვნის შესახებ. სოფლის საბჭოში 1552 მცხოვრებია, აქედან 833 ამომრჩეველია. 27 ამხანაგი სააგიტაციო მუშაობას ატარებს სოფლად. ამომრჩევლები უდიდესი ინტერესით სწავლობენ სტალინურ კონსტიტუციას და არჩევნების დებულებას.

აგიტატორთა შორის თავისი ენერგიული მუშაობით განირჩევა მასწავლებელი ფეფო წოწკოლაური. მან ამ 3 წლის წინათ დაამთავრა დუშეთის პედაგოგიური სასწავლებელი და აგიტკოლექტივის ხელმძღვანელობა და დავამტკიცეთ რაიკომის ბიუროს სხდომაზე. მოკლე ვადიან კურსებზე გადავამზადეთ 29 აგიტატორი.

ამჟამად რაიონში 494 აგიტატორი მუშაობს. მათ შორის 116 ქალია. ხევსური ქალები და ვაჟები წარმატებით ეწევიან აგიტაციას მოსახლეობაში. კარგად მუშაობენ ხევსურები: ლევან არაბული, ხვთისო გოგიჭური, ძილა წიკლაური, ივანე წიკლაური, ხვთისო ალუდაური და სხვები. მარტო ბარისახოს ინტერნაციონალის მოზრდილ მოწაფეთაგან 25 კაცია ჩაბმული სააგიტაციო მუშაობაში.

აგიტატორთა შორის 152 მასწავლებელია, 37 საბჭოთა მოსამსახურე, 305 კოლმეურნე, აგიტატორთა შორის 247 კომკავშირელია და 81 უპარტიო.

რაიონში შექმნილია 18 აგიტკოლექტივი, რომლებსაც ხელმძღვანელობენ შემოწმებული და მომზადებული ამხანაგები. დებულების შემდეგ სწავლელ წრეებში ჩაბმულია 14.944 ამომრჩეველი. შემოწმებით გამოირკვა, რომ აგიტატორთა უმრავლესობა კარგად ასრულებს დაკისრებულ ვალდებულებას და დებულების შესწავლასთან ერთად მსმენელებს უხსნის საშინაო და საგარეო მდგომარეობის საკითხებს. კარგად მუშაობენ აგიტატორები: სანაძე, გორდელაძე, როსტიაშვილი, გულაშვილი, წვერაძე (ქ. დუშეთი), კურკუმული, ჭიპჭინაძე, ყველაიძე, (ფასანაური), თანიაშვილი, რამიშვილი, ბარათაშვილი, (ჭონქაძის სასოფლო საბჭო) და სხვანი. მაგრამ, არიან აგიტატორები, რომლებიც უპასუხისმგებლოდ მოეკიდნენ ამ ფრიად მნიშვნელოვან საქმეს. მათზე მიღებულია საჭირო ზომები. ყველა აგიტატორს და პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელს უნდა ახსოვდეს დიდი სტალინის მითითება იმის შესახებ, რომ თუ „ჩვენი სააგიტაციო მუშაობა ბოლშევიკურად იწარმოებს, მაშინ ხალხი თავის უმაღლეს ორგანოებში მტრულ ადამიანებს არ შეუშვებს“.

არიან ისეთი პარტიული ორგანიზაციები, რომელთა ხელმძღვანელებს კარგად აქვთ შეგნებული არჩევნებისათვის მზადების პოლიტიკური მნიშვნელობა და მუშაობაც უკეთესად აქვთ დაყენებული, ასეთები არიან: ჭოპორტის პარტორგანიზაცია (მდივანი ამხ. გოგიტაური), დუშეთის რაიაღმასკომის პარტორგანიზაცია (მდივანი ამხ. კვაჭაძე), საქმაჭრობის დუშეთის განყოფილების პარტორგანიზაცია (მდივანი ამხ. დურგლიშვილი), ანანურის პარტორგანიზაცია (მდივანი ამხ. ბედუკაძე), სატყეო მეურნეობის პარტორგანიზაცია (მდივანი ამხ. ბურდული) და სხვ. მაგრამ ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია ჯერ კიდევ სუსტად მუშაობს, როგორც მაგალითად სოფ. ბურღულის საკოლმეურნეო პარტორგანიზაცია (მდივანი ამხ. ფოლადაშვილი), ჟინვალის პარტორგანიზაცია (მდივანი ამხ. სინჯარაძე) და სხვ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დროს დუშეთის რაიონში სამი საარჩევნო ოლქი იყო, ამჟამად კი, დებულების თანახმად, ჩვენს რაიონში არჩეულ იქნება სარაიონო საბჭოს 45 დეპუტატი, ქალაქის საბჭოს 35 დეპუტატი და სოფლის საბჭოს 344 დეპუტატი. შექმნილია სარაიონო საბჭოს 45 საარჩევნო ოლქი და საოლქო კომისია, საქალაქო საბჭოს 35 საარჩევნო ოლქი და საქალაქო კომისია, სოფლის საბჭოს 344 საარჩევნო ოლქი და საოლქო კომისია. შექმნილია აგრეთვე 62 საარჩევნო უბანი და საუბნო საარჩევნო კომისიები. საარჩევნო კომისიების მუშაობაში ჩაბმულია—2138 ამხანაგი. საჭიროა, ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა მტკიცედ მოჰკიდონ ხელი არჩევნებისათვის მზადების საქმეს და დაეხმარონ ახლადწამოყენებულ აქტივს.

არჩევნების მზადებასთან დაკავშირებით, დუშეთის რაიონის კოლმეურნეობებმა ფართოდ გაშალეს წინასოციალისტური შეჯიბრება და მნიშვნელოვანი წარმატებით შეხვდნენ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXII წლისთავს. მიუხედავად არახელსაყრელი კლიმატური პირობებისა, სქშემოდგომო თესვის გეგმა რაიონმა გადაჭარბებით შეასრულა.

კოლმეურნეობები ამთავრებენ მეცხოველეობის ახალი ფერმების ჩამოყალიბებას და მათს დაკომპლექტებას. ამჟამად რაიონში ჩამოყალიბებულია 130 სხვადასხვა სახის ფერმა.

კოლმეურნეობებში დიდი მუშაობა გაჩაღებული 1940 წელს სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის უფლების მოსაპოვებლად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დროს დუშეთის რაიონის ამომრჩევლებმა მთლიანად დაუჭირეს მხარი კომუნისტთა და უპარტიოთა სტალინური ბლოკის კანდიდატებს. საარჩევნო უბნებში გამოცხადდა ამომრჩეველთა 99,6%. უნდა გვახსოვდეს, რომ რაც გაკეთებულია ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადების საქმეში, ეს მხოლოდ დასაწყისია. საჭიროა ყოველდღიურად ვამოწმოთ და ვაუმჯობესოთ საagიტაციო მუშაობა, დავეხმაროთ აგიტატორებს მუშაობის უკეთ დაყენებაში, რათა მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დროსაც უზრუნველვყოთ კომუნისტებისა და უპარტიოთა სტალინური ბლოკის ბრწყინვალე გამარჯვება.

რაიონში უკვე დაიწყო დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება. მშრომელი მასების ადგილობრივ საბჭოებში დეპუტატებად ასახელებენ მოწინავე ადამიანებს, ლენინ-სტალინის საქმის ერთგულ ადამიანებს. დუშეთის რაიონის პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ საუკეთესოდ მოამზადონ და ჩაატარონ ადგილობრივი საბჭოების არჩევნები. (საქდესი).

ᲮᲔᲕᲡᲣᲠᲔᲗᲘᲡ ᲛᲗᲔᲑᲨᲘ

ამ ადგილს, სადაც ერთმანეთს უერთდება ფშავისა და ხევსურეთის არაგვი, ორწყალი ეწოდება. აქედან ერთი გზა მიდის აღმოსავლეთით—უკანა-ფშავისაკენ, მეორე კი ჩრდილოეთით—ხევსურეთისაკენ. მაღალი, ტყით დაფარული მთა თითქოს შუაზე გაპობილა და ხევსურთა მიდამოებში შესასვლელად ეიწრო კარი გაუღია. ღრიალით გამორბის ამ კარებში ხევსურეთის არაგვი, მოაგორებს ეეებერთელა ქვებსა და აყრუებს არემარეს.

ბარისახოსაკენ მიმავალი გზა აქაფებული მდინარის ნაპირას მიიკლაკნება. თავზე დაგყურებენ ხევსურეთის ზეიადი მთები, რომელთა მწვერვალები უკვე თეთრადაა შელესილი. აქა-იქ მთებზე, მოსჩანან ხევსურების სახლები. ულამაზეს ხალიჩას წააგავს შემოდგომის მიერ ათასფრად აჭრელებული ტყეები.

ხევსურთ ქვეყანა... ბევრ მოგზაურს შეუდგამს აქ ფეხი, ბევრი რამ დაწერილა ხევსურთა შესახებ. მოდიოდნენ აქ მოგზაურნი და მკვლევარნი, მოდიოდნენ უბრალო ცნობისმოყვარენიც, რათა ენახათ ეს „უცნაური“ ხალხი, ვინ იცის, რა ზღაპრები არ შეიქმნა ხევსურთა და ხევსურეთის გარშემო. აქ გასული საუკუნის 70-იან წლებში იყო ვინმე გ. რადე, რომელმაც თავისი შთაბეჭდილებანი ასწერა წიგნში „შენიშვნები ხევსურეთის შესახებ“. რადე ხევსურებს წამოაფუშტ ეელურებს უწოდებს და ამბობს, რომ ხევსურები უნდა ამოწყდნენ, ვინაიდან ახლანდელ კულტურას ვერ ეგუებიანო(?).

ნახულობდნენ მოგზაურნი და მკვლევარნი ხევსურთა სოფლებს, განცვიფრებაში მოდიოდნენ ხევსურების ახოვნებითა და ვაჟკაცობით, სტაბეზდნენ ხევსურეთის დიადი ბუნების მზერით. მაგრამ, არავინ ცდილობდა ღრმად ჩასწვდომოდა ხევსურთა ცხოვრებას, რომელიც მრავალ საუკუნის მანძილზე ალსავსე იყო გაჭირვებით, ტანჯვითა და წამებით.

მეფის წყეული მთავრობა სრულიადაც არ იყო დაინტერესებული ხევსურეთის ბედით. მეფის მოხელენი ხელოვნურად აღვივებდნენ შუღლსა და მტრობას მეზობელ ხალხთა—ხევსურებსა, ინგუშებსა და ჩაჩნებს შორის, მეფის მოხელეებს არაფერი გაუკეთებიათ ხევსურეთში გზების გასაყვანად, სკოლების დასაარსებლად. საბაგიროდ, სასულიერო უწყება ჰგზავნიდა მღვდლებს, რათა ხევსურები „სწორ გზაზე“ დაეყენებინათ.

1919 წელს, სუსხიან ზამთარში, ხევსურეთის სოფელ შატილს მივიდა ერთი ადამიანი, რომლისგანაც ხევსურებმა პირველად გაიგონეს ახალი სიტყვა ახალი ცხოვრების შესახებ. ეს ადამიანი იყო სერგო ორჯონიკიძე. იგი ესაუბრებოდა ხევსურებს ოქტომბრის რევოლუციაზე, ლენინზე, იმაზე, რომ დიდი რუსი ხალხი აღსდგა კიდით-კიდემდე და იბრძვის ახალი, ბედნიერი ცხოვრებისათვის, „სერგომ... უამბო მათ მოსკოვის მიზეზები და მოუყვა ამბებს, რაც ჩრდილოეთში მოხდა, რათა მოესმინათ სერგოს ნაამბობი, თავი მოიყარეს ხევსურებმა მეზობელ სოფლებიდანაც“ — იგონებს ზინაიდა ორჯონიკიძე.

1919 წლის აპრილში, როცა სერგო არალეგალურად მიდიოდა თბილისში, რომ აქედან გასულიყო საბჭოთა რუსეთში, მან ერთ კვირას დაჰყო სოფ. ამღაში. იგი ცხოვრობდა ბეწიკა წოკალაურის სახლში. ხევსურები ყოველდღე თავს იყრიდნენ სერგოსთან და იგიც უამბობდა მათ, თუ რა უნდა ჰქნან, რომ უკეთესად იცხოვრონ. მას მოჰყავდა რუსეთის მუშებისა და გლეხების მაგალითი, რომლებმაც იარაღით ხელში მოსპეს ეჭაპლუატატორები და შეუდგნენ ახალი ცხოვრების მოწყობას.

სერგოს ერთერთ საუბარს იგონებს მიხეელა წიკლაური.

— სერგომ გვითხრა,—მეუბნება მიხეელა,—რომ როცა საქართველოში საბჭოები იქნება, მაშინ ხევსურებს გზა გექნებათ, სკოლა გექნებათ, თქვენი ბალღები სკოლაში იცლიანო. გულში ჩამებეჭდა სერგოს სიტყვები.

— ბალღათ ვიყავ, როცა სერგო ჩვენსას იყო,—ამბობს ბეწიკა წოკალაურის შვილი—წვრილა,—როგორც სიზმარი, ისე მახსოვს, რომ ხევსურნი მოდიოდნენ ჩვენსას, ისმენდნენ სერგოს საუბარს, მოსწონდათ მისი ნალაპარაკევი.

ლენინ-სტალინის პარტიის ზრუნვით ხევსურეთმა იცვალა სახე. ბარისახოდან—ხევსურეთის ცენტრამდე — გაყვანილია მშვენიერი საავტომობილო გზა. ფშავისა და ხევსურეთის არაგზეც აგებულია ხიდები. ბარისახოში არის სრული საშუალო სკოლა ინტერნატით, ხევსურეთში მუშაობს 3 არასრული და 28 დაწყებითი სკოლა, სადაც 1161 ბავშვი სწავლობს. ბარისახოს აქვს საუცხოოდ მოწყობილი საავადმყოფო; შატილში გახსნილია საექიმო პუნქტი; არხოტში მთავრდება საექიმო პუნქტის აგება. 1938 წელს დაიწყო საშუალო სკოლის აგება შატილში. სკოლასთან იქნება ინტერნატი 250 მოწაფისათვის.

საუცხოო სანახავია ბარისახო, როშელიც ამ რამდენიმე წლის წინათ წარმოადგენდა ყრუ სოფელს. მთის ფერდობზე, რომლის ძირშიც მიჰქუხს არაგვი, წამოჭიმულია სკოლის, ინტერნატის, კოოპერატივის, ფოსტის, სასტუმროს, საავადმყოფოს ახალი ლამაზი შენობები. არაგვის პირას აგებულია ჰიდროსადგური, რომელიც სინათლეს აწვდის ბარისახოს. 28 სახლია გაყვანილი სინათლე. ხევსურეთის სოფელშიც აელვარდა „ილიჩის ნათურა“.

○

იმ დიად ცვლილებათა შორის, რომელიც ხევსურეთის ცხოვრებაში მოხდა, უდიდესი მნიშვნელობა აქვს მტრობის და შუღლის მოსპობას ხევსურებსა და ჭისტებს შორის. მრავალი საუკუნის მანძილზე მტრობდა ერთმანეთს ეს ორი მეზობელი ხალხი. ამ მტრობამ დიდძალი მსხვერპლი შეიწირა.

— ჭისტი და ხევსური მტრები ვიყავით. თუ ჭისტს დავინახავდით მიჯნაზე გადმოსულს, სროლა მოხდებოდა, კაც მოკვდებოდა. ჭისტი მგვტრობდის. ერთხელ გავგლეშჭირე, რაც რამე შეხედეს, არაფერი არ გაეწირეს, ძროხები, ბოროლები გაიტაცეს. მერე ჩვენც სამაგიერო გადაუხადეთ,—ამბობს ძია მიმშობლ ძია ჩიკლაური სოფელ ამღიდან.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ მოსპო შუღლი და მტრობა მთის ხალხებს შორის.

ამას წინათ არხოტელებმა—ხევსურებმა შეხვედრა მოაწყეს ჭისტეთთან სოფელ ფეუში. შეგობრულად მოილაპარაკეს საერო საკითხებზე. ხევსურებმა და ჭისტებმა, ერთმანეთს თავიანთი აზრი გაუზიარეს.

— მტრობა ჭისტებსა და ხევსურთ შორის ხელსაყრელი იყო მეფის მთავრობისათვის, რომელიც დაინტერესებული იყო იმით, რომ განადგურებულიყვნენ კავკასიის ხალხები. ამ მტრობას აღვივებდნენ საზიზღარი მენშევიკები და ბურჟუაზიული ნაციონალისტები. ჭისტებსა და ხევსურებს სამტრო არაფერი აქვთ,—ასე გაიძახიან დღეს ხევსურები და ჭისტები.

ჭისტები დიდი ზეიმით შეხვდნენ ხევსურთ. ხევსურებმაც საზეიმო შეხვედრა გაუმართეს ჭისტებს: შეეგებნენ ალმებით, დროშებით, გარშინით, ერთად ისადილეს და შესვეს დიდი სტალინის, ხალხთა მეგობრობის სადღეგრძელო.

ამ მეგობრობის აღსანიშნავად არხოტელებს გაჰყავთ გზა ჭისტების სოფელ ფეუში, რათა უფრო მჭიდროთ დაუკავშირდნენ ერთმანეთს.

○

დიდი სიხარული და აღფრთოვანება სუფევს დღეს ხევსურეთში. ხევსურთა სოფლები ემზადებიან მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის დიდი სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე.

ბარისახოს სოფლის საბჭოში 25 აგიტატორი მუშაობს. ესენი უმთავრესად მასწავლებლები და ინტერნატის კომკავშირელი მოწაფეები არიან.

სოფელ დათვისში, რომელიც ბარისახოდან 4 კილომეტრითაა დაშორებული, აგიტატორად მუშაობს კომკავშირელი ლევან არაბული. არ ყოფილა შემთხვევა, რომ მის მეცადინეობას, დაჰკლებოდნენ ამომრჩევლები. ხევსურები გულმოდგინედ სწავლობენ სტალინურ კონსტიტუციას და საარჩევნო დებულებას. იმორთება საუბარი. ლევან არაბული უამბობს, თუ რა არის ახალი საერთაშორისო მდგომარეობაში. საუბრის დროს ეხებიან ადგილობრივი ცხოვრების საკითხებსაც.

ამომრჩევლები სოფელ გველეთიდან კოოპერაციის მუშაობას გაუმჯობესებას მოითხოვენ; მოითხოვენ აგრეთვე სკოლის გახსნას და თავის მხრივ კისრულობენ ვალდებულებას გამონახონ ბინა და სკოლა შეშით მოამარაგონ.

ჭობოლელები ჯერ კიდევ არ იყენენ თავისუფალნი მავნე ჩვეულებისაგან. ისინი, გარდა კვირა დღისა, უქმობდნენ ორშაბათს, პარასკევსა და შაბათს. კომკავშირელი ალიტატორი გიორგი ლიქოკელი არაერთხელ ესაუბრა ხევსურებს ასეთი ჩვეულების მავნებლობის შესახებ.

სოფელ გუდალის მცხოვრებნი პატივისცემით ეპყრობიან კომკავშირელ დავით არაბულს, რომელმაც შესძლო წერა-კითხვის უცოდინარობის აღმოფხვრა სოფელში.

○

ხევსურეთის ზვიად მთებს შორის სჩქეფს ახალი ცხოვრება. გამოიზარდნენ ახალი ადამიანები, აღზრდილნი ლენინ-სტალინის გენიალური მოძღვრებით, ცოდნითა და სწავლით; ისინი დაოცალავად იბრძვიან ხევსურთა ქვეყნის წინსვლისათვის, აყვავებისათვის.

სწორმო ყამია, ბაღი მთავრე დაჰქალთების მთებს. ქვევით, ხეებში, ჰბორგავს არაგვი, ისმის ფანდურის სიმების ყლერა...

მანამ აცოცხლე სტალინო,
სანამ არაგვი მდინარეზე,
შენ ააყვავე ქვეყანა,
გამაალვიძე მძინარე.

ელ. ხუციშვილი.

(საქდესი).

ᲕᲐᲥᲐ ᲤᲨᲐᲕᲔᲚᲐᲡ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲨᲘ

მაღაროსკარის სოფლის საბჭოს პარტორგანიზაციისაგან მივიღე სპარტია დავალება — გაწვრთნო საagიტაციო მუშაობა ვაჟა ფშაველას სამშობლო სოფ. ჩარგალის მოსახლეობაში. ვცდილობ პირნათლად შევასრულო ეს დავალება.

თვითეული საუბრისათვის გულდასმით ვემზადები. მუშაობაში დიდ დახმარებას მიწევენ სემინარები და აგიტატორთა თათბირები, რომლებიც მაღაროსკარში ტარდება.

ჩემს მუშაობას აძნელებს ის გარემოება, რომ სოფლის მოსახლეობა დიდ სივრცეზეა გაფანტული, როგორც საერთოდ სჩვევიათ ფშაველის სოფლებს. ზმირად მიხდება საუბრების ჩატარება ისეთ უბნებში, რომლებიც ჩარგალიდან დაშორებულია 2-3 კილომეტრით.

სოფლად მრავლადაა არიან აქტიური ახალგაზრდები, რომლებიც მიწყობენ ხელს მუშაობაში და რომელთა დახმარება მიდგიდეს მუშაობას. ასეთები არიან: კომკავშირელები მარიამ უამიაშვილი, ლუკა ზურაბიშვილი და სოლომონ უამიაშვილი, სოფლის საბჭოს წევრი ილიკო ბაჩიაშვილი და სხვ.

სოფელი ჩარგალი მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებს დიდი მიღწევებით ხვდება. წელს, ზაფხულში, ჩვენს სოფელში კოლმეურნეობა ჩამოყალიბდა. მოსახლეობის მოთხოვნით მას ეწოდა ვაჟაველას სახელი ეწოდა. კოლმეურნეობაში ორმოცი კომლი იმეცლება. თავმჯდომარედ არჩეულია სოფლის საუკეთესო ადამიანი გიორგი გორგასალი.

სოფელში გვაქვს დაწყებითი სკოლა, სადაც 37 ბავშვი სწავლობს. ეს სკოლა საბჭოთა ხელისუფლების დროს გაიხსნა. წინათაც არსებობდა ჩარგალში დაწყებითი სკოლა. მასწავლებლად იყო მამა ჩემი —ბაჩანა, რომელმაც მასწავლებლობას თავი დაანება 1910 წელს. სოფლიდან მისი წასვლის შემდეგ სკოლა დაიხურა.

ჩარგალში დღეს თითქმის არ მოიპოვება წერა-კითხვის უცოდინარი გლეხი. სოფლად ვრცელდება 20 ცალი „კომუნისტი“, 15 ცალი „ახალგაზრდა კომუნისტი“, 25 ცალი რაიონული გაზეთი „სტალინური გზით“. იშვიათია ისეთი მოსახლე, რომელსაც სახლში არ ჰქონდეს ვაჟა ფშაველას თხზულებანი.

ამას წინათ სოფლად გაიხსნა ფურნე. მოკლე ხანში გავხსნით ბიბლიოთეკა-სამკითხველოს. სამასამ თანხები გვაქვს, შენობაც შერჩეულია და, ვფიქრობთ, ბიბლიოთეკა-სამკითხველოს გახსნა დავუკავშიროთ არჩევნების დღეს — 24 დეკემბერს. (საქდესი).

აგიტატორი გიორგი რაზიკაშვილი.

ᲒᲝᲚᲨᲔᲕᲘᲙᲣᲠᲐᲓ ᲕᲔᲛᲖᲐᲓᲔᲗ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲙᲣᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲔᲑᲘᲡ ᲐᲠ

ԳՅՈՒՂԱՏՆՏԵՍԱԿԱՆ ՀԱՐՑԵՐ

ՀԱՅԿԱԿԱՆ ՍՈՎԵՏԱԿԱՆ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ ՀՈՂԱՅԻՆ ՖՈՆԴԻ ՊԱՀՊԱՆՈՒԹՅԱՆ ՄԱՍԻՆ

ՀՍՍՀ Նախարարների խորհրդի և ՀՍՍՀ Կոմունիստական (բոլշևիկների) կուսակցության Կենտկոմի որոշումը

Հայկական ՍՍՀ Նախարարների խորհուրդը և Հայկական ՍՍՀ Կոմունիստական (բոլշևիկների) կուսակցության Կենտկոմը նկատի ունենալով, որ հանրապետության կոլտնտեսությունների, սովխոզների և ՄՏԿ-ների ղեկավարների մի մասը ոչ միայն չի ձգտում ամրապնդել կոլտնտեսային սեփականությունը, այլև հանդուրժողական վերաբերմունք է ցուցաբերում կոլտնտեսային սեփականության հանդեպ կատարվող հափշտակությունների նկատմամբ, որոշում են՝

1. Հայկական ՍՍՀ Նախարարների խորհրդի և Հայկական ՍՍՀ Կոմունիստական (բոլշևիկների) կուսակցության Կենտկոմի 1937 թ. հոկտեմբերի 15-ի որոշումը հանրապետության կոլտնտեսությունների, սովխոզների և ՄՏԿ-ների ղեկավարների մի մասի կողմից կոլտնտեսային սեփականության հանդեպ ունեցած ոչ ճիշտ վերաբերմունքի մասին ընդունել իմացության համար։

2. Նկատի ունենալով, որ կոլտնտեսային սեփականության հանդեպ ոչ ճիշտ վերաբերմունքի հետևանքով հանրապետության կոլտնտեսությունների, սովխոզների և ՄՏԿ-ների ղեկավարների մի մասը ոչ միայն չի ձգտում ամրապնդել կոլտնտեսային սեփականությունը, այլև հանդուրժողական վերաբերմունք է ցուցաբերում կոլտնտեսային սեփականության հանդեպ կատարվող հափշտակությունների նկատմամբ, Հայկական ՍՍՀ Նախարարների խորհուրդը և Հայկական ՍՍՀ Կոմունիստական (բոլշևիկների) կուսակցության Կենտկոմը առաջարկում են հանրապետության կոլտնտեսությունների, սովխոզների և ՄՏԿ-ների ղեկավարներին, որ նրանք ամենայն եռանդով ձգտեն ամրապնդել կոլտնտեսային սեփականությունը, ամեն կերպ պաշտպանեն կոլտնտեսային սեփականությունը հափշտակողներից, ամեն կերպ ամրապնդեն կոլտնտեսային սեփականության հանդեպ սոցիալիստական վերաբերմունքը։

3. Հայկական ՍՍՀ Նախարարների խորհուրդը և Հայկական ՍՍՀ Կոմունիստական (բոլշևիկների) կուսակցության Կենտկոմը նախազգուշացնում են, որ կոլտնտեսային սեփականության հանդեպ ոչ ճիշտ վերաբերմունքի հետևանքով հանրապետության կոլտնտեսությունների, սովխոզների և ՄՏԿ-ների ղեկավարների մի մասը ոչ միայն չի ձգտում ամրապնդել կոլտնտեսային սեփականությունը, այլև հանդուրժողական վերաբերմունք է ցուցաբերում կոլտնտեսային սեփականության հանդեպ կատարվող հափշտակությունների նկատմամբ, Հայկական ՍՍՀ Նախարարների խորհուրդը և Հայկական ՍՍՀ Կոմունիստական (բոլշևիկների) կուսակցության Կենտկոմը առաջարկում են հանրապետության կոլտնտեսությունների, սովխոզների և ՄՏԿ-ների ղեկավարներին, որ նրանք ամենայն եռանդով ձգտեն ամրապնդել կոլտնտեսային սեփականությունը, ամեն կերպ պաշտպանեն կոլտնտեսային սեփականությունը հափշտակողներից, ամեն կերպ ամրապնդեն կոլտնտեսային սեփականության հանդեպ սոցիալիստական վերաբերմունքը։

Հայկական ՍՍՀ Նախարարների խորհրդի նախագահ Ա. ՀԱԿՈԲՅԱՆ

Հայկական ՍՍՀ Կոմունիստական (բոլշևիկների) կուսակցության Կենտկոմի քարտուղար Ա. ԿԱՐԱԿԵՀՅԱՆ

Երևան, 13 մայիսի։

ՀԱՅԿԱԿԱՆ ՍՍՀ ՄՇԱԿՈՒՅԹԱՅԻՆ ԵՎ ՏՆՏԵՍԱԿԱՆ ԿՅԱՆՔԻ ԶԱՐԳԱՑՄԱՆ ՀԱՄԱՐ ՊԱՅՔԱՐՎՈՂ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ ՀՈՂԱՅԻՆ ՖՈՆԴԻ ՊԱՀՊԱՆՈՒԹՅԱՆ ՄԱՍԻՆ

ՀՍՍՀ Նախարարների խորհրդի և ՀՍՍՀ Կոմունիստական (բոլշևիկների) կուսակցության Կենտկոմի որոշումը

Հայկական ՍՍՀ Նախարարների խորհուրդը և Հայկական ՍՍՀ Կոմունիստական (բոլշևիկների) կուսակցության Կենտկոմը նկատի ունենալով, որ հանրապետության կոլտնտեսությունների, սովխոզների և ՄՏԿ-ների ղեկավարների մի մասը ոչ միայն չի ձգտում ամրապնդել կոլտնտեսային սեփականությունը, այլև հանդուրժողական վերաբերմունք է ցուցաբերում կոլտնտեսային սեփականության հանդեպ կատարվող հափշտակությունների նկատմամբ, Հայկական ՍՍՀ Նախարարների խորհուրդը և Հայկական ՍՍՀ Կոմունիստական (բոլշևիկների) կուսակցության Կենտկոմը առաջարկում են հանրապետության կոլտնտեսությունների, սովխոզների և ՄՏԿ-ների ղեկավարներին, որ նրանք ամենայն եռանդով ձգտեն ամրապնդել կոլտնտեսային սեփականությունը, ամեն կերպ պաշտպանեն կոլտնտեսային սեփականությունը հափշտակողներից, ամեն կերպ ամրապնդեն կոլտնտեսային սեփականության հանդեպ սոցիալիստական վերաբերմունքը։

Հայկական ՍՍՀ Նախարարների խորհրդի նախագահ Ա. ՀԱԿՈԲՅԱՆ

Հայկական ՍՍՀ Կոմունիստական (բոլշևիկների) կուսակցության Կենտկոմի քարտուղար Ա. ԿԱՐԱԿԵՀՅԱՆ

Երևան, 13 մայիսի։

ՀՀ ԿԱՌԱՎԱՐՈՒԹՅԱՆ ԵՎ ՀԱՅԿԱԿԱՆ ՍՍՀ ԱՇԽԱՏԱՎՈՐՆԵՐԻ ՊԱՏԳԱՄԱՎՈՐ ԴԵՊՈՒՏԱՏՆԵՐԻ ԽՈՐՀՐԴԻ ՆԱԽԱԳԱՀ

ՀԱՅԿԱԿԱՆ ՍՈՎԵՏԱԿԱՆ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ ԳԵՐԱԶԱՆՑ ՄԱՐՏԻԿՆԵՐԻ ԵՎ ՀԱՅԿԱԿԱՆ ՍՍՀ ԱՇԽԱՏԱՎՈՐՆԵՐԻ ՊԱՏԳԱՄԱՎՈՐ ԴԵՊՈՒՏԱՏՆԵՐԻ ԽՈՐՀՐԴԻ ԱՆԴԱՄ

ՀԱՅԿԱԿԱՆ ՍՍՀ ՄՇԱԿՈՒՅԹԱՅԻՆ ԵՎ ՏՆՏԵՍԱԿԱՆ ԿՅԱՆՔԻ ԶԱՐԳԱՑՄԱՆ ՀԱՄԱՐ ՊԱՅՔԱՐՎՈՂ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ ՀՈՂԱՅԻՆ ՖՈՆԴԻ ՊԱՀՊԱՆՈՒԹՅԱՆ ՄԱՍԻՆ

**ՀՀ Կառավարության և ՀՍՍՀ Գերագույն խորհրդի նախագահության